

ՃՌՈՒՅՑԻ ԹԱՏՈՆՑՎՈՂՈ

SOS!

ԱՀԵՅՌՈՒՅՆՑԻ...

ԹՅՈՒՂՈՍՈ
2015

ISBN 978- 9941-9371-2-5

დაკბადონება: გიორგი კაკაბაძე

© გიორგი მათიაშვილი, 2015

სარჩევი

| | |
|---|----|
| შესავალი | 7 |
| რა არის ადამიანების ტრეფიკინგი | 9 |
| ტრეფიკინგის დანაშაულის ბუნება | 14 |
| ადამიანების ტრეფიკინგის მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები | 15 |
| ადამიანების ტრეფიკინგის მსხვერპლთა პირადი ცხოვრების ხელ- შეუხებლობის და უსაფრთხოების დაცვა | 17 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვისა და დახმარების მექანიზმები | 21 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციის მექანიზმები | 21 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა | 24 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლება მიყე-ნებული ზიანის ანაზღაურებაზე | 28 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლთა სტატუსი და მათი რეპატრიაცია | 29 |
| უცხო ქვეყნების შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები | 32 |
| აშშ-ს კანონმდებლობა | 34 |
| S, T და U ტიპის ვიზები | 36 |

| | |
|---|-----|
| ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა | 42 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა სასამართლო პროცესის მსვლელობისას | 44 |
| ინფორმაციის მიღების უფლება | 46 |
| ადვოკატის უფლება სისხლის სამართლის პროცესში | 46 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება | 47 |
| მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება | 48 |
| ბელგის კანონმდებლობა დანაშაულის დეფინიცია | 49 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება და დაცვა | 51 |
| მუდმივი ბინადრობის უფლება | 54 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა | 56 |
| დაცვა სასამართლო პროცესის მსვლელობისას | 556 |
| უფლება ინფორმაციაზე სასამართლო პროცესის მსვლელობისას | 59 |
| ადვოკატის უფლება სისხლის სამართლის პროცესში | 59 |
| სხვა სახის დახმარება (თავშესაფარი, განათლება, მუშაობის უფლება) | 60 |
| მიყენებული ზიანის ანაზღაურება/კომპენსაცია | 62 |

| | |
|---|-----------|
| დასკვნა | 62 |
| საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი | 63 |
| სად არის გამოსავალი ?! | 70 |
| პოლიტიკის ალტერნატივები | 73 |
| საქართველოს ქმედებების შეფასება | 74 |
| პოლონეთის გამოცდილების მიმოხილვა | 76 |
| პოლონური გამოცდილების გადმოტანა | 77 |
| დასკვნები და რეკომენდაციები | 80 |
| რეკომენდაციები რეინტეგრაციის შესახებ | 81 |
| ბავშვთა ტრეფიკინგი | 84 |
| რა განსხვავებაა ბავშვთა და მოზრდილთა ტრეფიკინგს შორის? | 86 |
| როგორ ხორციელდება ბავშვთა ტრეფიკინგი? | 86 |
| ბავშვთა შრომითი და სექსუალური ექსპლუატაცია | 88 |
| ბავშვთა ტრეფიკინგის შედეგები | 89 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების ჯანმრთელობის ზოგადი პრობლემები | 89 |
| ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების დახმარება | 92 |

| | |
|--|-----|
| ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია | 92 |
| ბავშვებით ვაჭრობის პრევენცია | 93 |
| სოციალური სამსახურების, მედის, ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების როლი | 94 |
| აღმზრდელების როლი | 95 |
| საინფორმაციო-საგანმანათლებლო კომპანია | 95 |
| ცოტა რამ მიგრაციის შესახებ | 97 |
| იძულებითი მიგრაციის მიზეზები | 100 |
| დანართი: საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკ-ინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ | 108 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 147 |

შესავალი

ბოლო პერიოდში ტელევიზით, პრესითა თუ ინფორმაციის სხვა საშუალებებით, სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემული ბროშურებითა და ჩატარებული სემინარებისა და ტრეინინგების მეშვეობით საქართველოს მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია იმ დანაშაულის შესახებ, რომელსაც თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანების ტრეფიკინგი ეწოდება. დანაშაულის ამ ფორმას, რომელსაც სხვაგვარად „თანამედროვე მონობადაც“ მოიხსენიებენ, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და ის ოცდამეერთე საუკუნეში არ აღმოცენებულა. თუმცა, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე საერთაშორისო მოვლენებმა, რომლებიც საბჭოთა სივრცის დაშლას უკავშირდებოდა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის განვითარებას. საზღვრების გახსნასთან ერთად, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს, კარგად ანაზღაურებადი სამუშაოსა და ცხოვრების უკეთესი პირობების მოლოდინში, აღმოსავლეთ ევროპიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ემიგრირებულთა დიდი ნაკადი მიაწყდა, რამაც ადამიანების ტრეფიკინგს მანამდე არნახული მასშტაბები შესძინა. დღესდღეობით აღნიშნული დანაშაული, თავისი სიმძიმითა და გავრცელების არეალით, აგრეთვე მისგან მიღებული უკანონო შემოსავლების ოდენობით, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს. საქართველო-

ში ადამიანების ტრეფიკინგის ან მის მსხვერპლთა შესახებ რაიმე ოფიციალური მონაცემი არ არსებობს, რაც ართუ-ლებს ქვეყანაში აღნიშნული დანაშაულის სრული სურათის შექმნას. თუმცა, თუ დავეყრდნობით ექსპერტთა მონაცემებს საქართველოდან ემიგრირებულთა საერთო რაოდენობის შესახებ, რომელიც ერთ მილიონს აჭარბებს, რაც საქართველოს მოსახლეობის 20% შეადგენს, შესაძლებელია ამ დანაშაულის მასშტაბები დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ. თითოეული ჩვენთაგანი, ალბათ, სულ მცირე, ერთ ადამიანს მაინც იცნობს, რომელიც საზღვარგარეთ სამუშაოდ არის წასული. თუ იმ გარემოებასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოდან სხვა ქვეყნებში ლეგალური შრომითი მიგრაცია თითქმის შეუძლებელია, ნათელი გახდება, რომ ამ ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა არალეგალური მიგრანტია, ე.ი. უკანონოდ იმყოფება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე „კანონგარეშე“ ყოფნა ამ ადამიანთა უფლებების დაცვის საშუალებებს ასუსტებს და მათ ნებისმიერი სახის ექსპლუატაციისა და ძალადობის მარტივ სამიზნედ აქცევს. ამრიგად, ადამიანების ტრეფიკინგი, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება საქართველოსათვის უცხო მოვლენად მოგვეჩვენოს, სინამდვილეში სრულიად ნაცნობი, ხელშესახები დანაშაულია, რომლის მსხვერპლად გახდომის დიდი რისკის ქვეშ იმყოფებიან საზღვარგარეთ სამუშაოდ ან სასწავლებლად წასული ჩვენი მოქალაქები. ადამიანების ტრეფიკინგი სრულიად ნაცნობი და ფართოდ გავრცელებული დანაშაულია თვით საქართველოს ფარგლებშიც, რომლის მსხვერპლთაც ყოველდღე ვხვდებით თუნდაც ქუჩაში მომათხოვორე, მოვაჭრე ან პროსტიტუციაში ჩაბმული ბავშვების სახით.

რა არის ადამიანების ტრეფიკინგი

2000 წლამდე მსოფლიოში არ არსებობდა ადამიანების ტრეფიკინგის საყოველთაოდ სავალდებულო ძალის მქონე იურიდიული დეფინიცია. 2000 წელს ქალაქ პალერმოში მსოფლიოს სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციას და, მასთან ერთად, ოქმს „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, რომელიც იქცა ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაულის დეფინიციის შემცველ პირველ საერთაშორისო იურიდიულ დოკუმენტად.

პალერმოს ოქმის მე-3 მუხლის თანახმად:

„ადამიანების ტრეფიკინგი“ ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა გადაბირებას, გადაყვანას, გადაცემას, გადამალვას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, უფლებამოსილების ან სხვისი უმწეობის ბოროტადგამოყენებით ან საფასურის მიცემით ან მიღებით იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე.

დეფინიციის შინაარსი უფრო მარტივად აღსაქმელი იქნება თუ მას პირობითად სამ ნაწილად დავყოფთ:

პირველ ნაწილში მოცემულია დანაშაულის მიზანი - ადამიანის ექსპლუატაცია.

რას გულისხმობს ადამიანის ექსპლუატაცია, ამაზე პასუხს თავად გაერთიანებული ერების ზემოხსენებული დოკუმენტი იძლევა.

პალერმოს ოქმის თანახმად:

ადამიანის ესქპლუატაცია გულისხმობს ადამიანის პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალურექსპლუატაციას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობაში ან მონობის მსგავს მდგომარეობაშიმყოფებას, სეტვიტუტს ან ადამიანის ორგანოთა გადანერგვას.

აქ გამოყენებული თითოეული ტერმინი, გარდა „პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალური ექსპლუატაციისა“ განმარტებულია საერთაშორისო სამართალში.

რაც შეეხება ტერმინებს - „ადამიანის პროსტიტუციის ექსპლუატაცია“ და „სხვა სახის სექსუალური ექსპლუატაცია“, მათი შინაარსის შესახებ ოქმის მონაწილე სახელმწიფოებმა და გაერთიანებული ერების სისხლის სამართლის კომისიამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ისინი განუმარტებელი დატოვეს. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ პროსტიტუციასთან მიმართებაში ქვეყნებს განსხვავებული კანონები და პოლიტიკა აქვთ და არ სურთ მათი შეცვლა. შეუთანხმებლობა დეფინიციების თაობაზე გამოიწვია იმან, რომ პალერმოს კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის აზრით, პროსტიტუციის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის სრულწლოვანთა ნებაყოფლობითი და ლეგალური პროსტიტუცია, უნდა ჩათვლილიყო ტრეფიკ-ინგად. მონაწილეთა მეორე ჯგუფი კი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა იმ მოსაზრებას, რომ სრულწლოვანთა ნებაყოფლობითი პროსტიტუცია ტრეფიკინგის ფორმაა და აცხადებდა, რომ ნებაყოფლობითი პროსტიტუცია არ უნდა იქნეს განსხვავებული ნებაყოფლობითი შრომის სხვა ფორმებისაგან. ამ შეუთანხმებლობის გამო, წარმოიშვა

აზრი, რომ ეროვნულ კანონმდებლობებში პალერმოს ოქმის დეფინიციის იმპლემენტაციისას სახელმწიფოები მოერიდონ ამ ორი ტერმინის გამოყენებას, ხოლო, თუ მაინც გამოიყენებენ, მისცენ მათ ნათელი და ცალსახა განმარტება. აღნიშნული პოზიცია გაიზიარეს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა და ქალის მიმართ ძალადობის საკითხებზე გაერთიანებული ერების სპეციალურმა მომსენებელმა. მათ მიერ შემოთავაზებულ დეფინიციაში, რომელმაც თითქმის ოქმის დეფინიცია გაიმეორა, ზემოაღნიშნული ორი ტერმინის ნაცვლად, გამოყენებულია ტერმინები „იძულებითი შრომა“ და „მონობის მსგავსი მდგომარეობა“, როგორც ექსპლუატაციის ყველა სხვა სახის შემცველი. ადამიანების ტრეფიკინგის დეფინიციის მეორე ნაწილში მოცემულია კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ცალკე და ერთობლიობაში, თუ ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით არის განხორციელებული, დანაშაულებრივი ქმედებებია. ესენია: ადამიანების გადაბირება, გადაყვანა, გადაცემა, გადამალვა (შეფარება) ან მიღება.

მესამე ნაწილში კი მოცემულია ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც აღნიშნული ქმედებები ხორციელდება, კერძოდ: მუქარა, ძალის გამოყენება, იძულება, გატაცება, თაღლითობა, მოტყუება, საკუთარი უფლებამოსილების ან სხვისი უმნეობის ბოროტად გამოყენება, იმ პირისათვის საფასურის მიცემა ან იმ პირის მიერ საფასურის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე. თვით გაერთიანებული ერების მიერ მოცემული განმარტებით, ტერმინი - „სხვისი უმნეობის ბოროტად გამოყენება“, გულისხმობს ნებისმიერ ისეთ სიტუაციას, როდესაც პირს, რომელიც ამ სიტუაციაში აღმოჩნდა, არ გააჩნია რაიმე სხვა

რეალური და მისაღები ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გახდეს მსხვერპლი. ტერმინი - „სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენება“ და ამ ტერმინის განმარტება, გაერთიანებული ერების მიერ ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ტრეფიკინგი შეიძლება აღმოცენდეს ძალის გამოყენების გარეშეც. ტრეფიკინგის დეფინიციით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც ტრეფიკინგის მსხვერპლი ექსპლუატაციის პირობებში ხვდება მშობლის, ოჯახის წევრის ან ახლობლის ნებით. ადგილი აქვს სიტუაციებს, როცა არ არსებობს ამ პირთა ნების წინააღმდეგ წასვლის საზოგადოებრივად მისაღები ან სამართლებრივად დასაშვები საშუალებები და, ამის გამო, მსხვერპლი იძულებულია დაემორჩილოს არსებულ გარემოებებს. ასეთი პირებიც ტრეფიკინგის მსხვერპლად ითვლებიან.

პალერმოს ოქმის მე-3 მუხლის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად:

თუ გამოყენებულია [ტრეფიკინგის დეფინიციით] გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, ადამინთა ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობას მის წინასწარ განზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ ენიჭება.

აღნიშნული ქვეპუნქტი მხოლოდ უკვე არსებულ საერთაშორისო ნორმებს იმეორებს. საქმე იმაშია, რომ ლოგიკურად და იურიდიულად შეუძლებელია „თანხმობის“ არსებობა, როცა ხდება იძულება, ძალადობა, გატაცება, მოტყუება, ძალაუფლების, სხვისი უმწეობის ან სხვა ადამიანზე კონტროლის ბოროტად გამოყენება. ბრალდებულს უფლება აქვს თავი დაიცვას, მაგრამ თუ ტრეფიკინგის დანაშაულის ელემენტები დამტკიცებულია, დაცვის მხარის არგუმენტი, რომ ტრეფიკირებული პირი თანახმა იყო ექს-

პლუატაციაზე, შეუსაბამოა. ნამდვილ თანხმობას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს და იურიდიულად მისაღები იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი პირის ნების თავისუფალ გამოვლენას წარმოადგენს. არგუმენტი, რომ პირი დათანხმდა მიგრირებაზე, ყალბი დოკუმენტების მოპოვებასა და საზღვარგარეთ უკანონოდ მუშაობაზე, ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ იგი თანახმა იყო იძულებითი შრომის, მონობის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში აღმოჩენაზე. ამ სამი დანაშაულის დეფინიცია თავისთავად გამორიცხავს თანხმობას. მაგალითად, ადამიანს შეუძლია დათანხმდეს საზღვარგარეთ სექს-ინდუსტრიაში მუშაობაზე კონკრეტული ქალაქის კონკრეტულ ბორდელში და კონკრეტული პირობებით, მაგრამ, თუ რომელიმე ეს პირობა არ სრულდება და მას მაინც აიძულებენ იმუშაოს, ეს ნიშნავს იმას, რომ იგი მოტყუებისა და ძალადობის მსხვერპლია. ტყუილი თავისთავად გამორიცხავს თანხმობას. შეუძლებელია დათანხმდე იმაზე, რაც არ არსებობს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი თანახმაა იმუშაოს ძალიან ცუდ პირობებში და ცუდი ანაზღაურებით, ის მაინც ტრეფიკინგის მსხვერპლად ჩაითვლება, თუ მას იძულებითი შრომის ან მონურ პირობებში ამყოფებენ. ამრიგად, თუ მტკიცებულებები მიუთითებს რომ ადგილი ჰქონდა რაიმე ფორმით პირის თავისუფალი ნების გამოვლენის შეზღუდვას, ის ტრეფიკინგის მსხვერპლად ითვლება და მისი თანხმობის გამამართლებელ არგუმენტად გამოყენება შეუსაბამოა.

ტრეფიკინგის დანაშაულის ბუნება

ტრეფიკინგის დანაშაულზე საუბრისას აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ:

(ა) ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს როგორც ქალი, ისე ბავშვი და მამაკაცი;

(ბ) ტრეფიკინგად მიიჩნევა არა მხოლოდ პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალური ექსპლუატაცია, არამედ ყველა სახის იძულებითი შრომა ან მომსახურება, მონობა ან მონობის მსგავსი მდგომარეობა.

საქმე იმაშია, რომ მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, დღემდე ტრეფიკინგად მიიჩნევენ მხოლოდ ქალებისა და ბავშვების პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით გამოყენებას. ასეთი მიდგომა მოძველებულია და დროთა განმავლობაში იგი შეიცვლება, როცა სახელმწიფოები თავიანთ შიდა კანონმდებლობას პალერმოს კონვენციასა და ოქმთან შესაბამისობაში მოიყვანენ. ადამიანების ტრეფიკინგი, სექსინდუსტრიის გარდა, უდიდეს მასშტაბებს აღწევს საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა (მუდმივი თუ სეზონური სამუშაოები), მშენებლობა, მსუბუქი მრეწველობა, ბავშვთა და მოხუცებულთა მოვლა, შინამოსამსახურეობა, აგრეთვე, ნებისმიერი სახის სამუშაოები, რომლებიც მძიმედ, ნაკლებად სუფთად და მომეტებული საფრთხის შემცველად ითვლება, ამიტომ სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა ამ სფეროში მომუშავე პირთა მდგომარეობას.

გ) ტრეფიკინგი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სახელმწიფოთა საზღვრების გადაკვეთით, ისე

ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ის შეიძლება იყოს როგორც ტრანსნაციონალური, ისე ლოკალური დანაშაული. მართალია, გაერთიანებული ერების ოქმი ადამიანების ტრეფიკინგის შესახებ სახელმწიფოთა საზღვრებს შიდა ტრეფიკინგზე პირდაპირ მითითებას არ შეიცავს, მაგრამ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით ტრეფიკინგი დასჯადია არა მხოლოდ საზღვრის გადაკვეთისას, არამედ ქვეყნის შიგნითაც.

ადამიანების ტრეფიკინგის მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები

დიდი ხნის განმავლობაში ადამიანების ტრეფიკინგის მსხვერპლები დამნაშავეებად განიხილებოდნენ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით. მათ აპატიმრებდნენ სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის, ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალურად ცხოვრებისა და შრომის ან სხვა უკანონო ან ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის (მაგალითად, პროსტიტუციის) ბრალდებით და ათავსებდნენ წინასწარი პატიმრობის ადგილებსა და ციხეებში ან, უკეთეს შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აძევებდნენ ქვეყნიდან. ის პირები კი, ვისაც, უკეთესი ცხოვრებისა და მაღალანაზღაურებადი სამსახურის დაპირებით, ეს ადამიანები უცხო ქვეყნებში გადაჰყავდა და იქ ექსპლუატაციას უწევდა, იძულებითი შრომისა და მონობის პირობებში ამყოფებდა, დაუსჯელი რჩებოდნენ მათ წინააღმდეგ მტკიცებულებათა არარსებობის გამო. ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ სახელმწიფოთა ამგვარმა დამოკიდებულებამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, საგრძნობლად შეუწყო ხელი დანაშაულის ამ სახის არნახულ გავრცელებას. ადამიანების ტრეფიკ-

ინგი, იარალისა და ნარკოტიკების ტრეფიკინგის მსგავსად, უზარმაზარი შემოსავლის მომტან საქმიანობად იქცა. ამავე დროს, პირველი ორი დანაშაულისაგან განსხვავებით, იგი გაცილებით უფრო რთული დანაშაული აღმოჩნდა მტკიცებულებების მოპოვებისა და მის ჩამდენ პირთა სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის თვალსაზრისით. საქმე იმაშია, რომ ადამიანების ტრეფიკინგი დანაშაულთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა გახსნისათვის დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ტრეფიკინგის მსხვერპლთა დამნაშავეებად მიჩნევით და მათი ქვეყნიდან გაძევებით კი ისპობა სამართლდამცავ ორგანოებთან მსხვერპლთა თანამშრომლობის ყოველგვარი შესაძლებლობა, რაც დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეთა მოძიებას ძალიან ართულებს. ამასთან ერთად, დროთა განმავლობაში ტრეფიკინგის მეთოდები კიდევ უფრო დაიხვეწა. ტრეფიკინგით კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები არიან დაკავებული, რომელებსაც სახელმწიფო თანამდებობის პირებთან ხშირად მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებთ, რაც დაუსჯელი მოქმედების სრულ გარანტიას ქმნის. ადამიანების ტრეფიკინგი უმძიმესი დანაშაულია, რომელიც იწვევს ადამიანის ყველაზე უფრო არსებითი უფლებების უხეშ დარღვევას: პიროვნული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შელახვას, წამებას, პატივისა და ღირსების დამცირებას, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების შელახვას, იძულებით შრომას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, ადამიანის მიმართ ყოველგვარი სახის ძალადობას - რაც გამოუსწორებელ (ხშირად მომაკვდინებელ) ზიანს აყენებს ადამიანის არსებას, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ყოველივე ზემოაღნიშნულმა მსოფლიო საზოგადოებრიობა

მიიყვანა სამართლებრივად სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტის შექმნის აუცილებლობამდე, რომელიც დაავალდებულებდა სახელმწიფოებს ტრეფიკინგის დანაშაულისა და მის მსხვერპლთა მიმართ დამოკიდებულების შეცვლას ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ასეთ დოკუმენტებად იქცა გაერთიანებული ერების ოქმი ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ (შემდგომში „პალერმოს ოქმი“) და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენცია (შემდგომში „პალერმოს კონვენცია“), რომლებიც ადამიანების ტრეფიკინგის მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს შეიცავს. წინამდებარე თავში განხილულია აღნიშნული ოქმისა და კონვენციის ის დებულებები, რომლებიც მსხვერპლთა უფლებების დაცვას ეხება.

ადამიანების ტრეფიკინგის მსხვერპლთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და უსაფრთხოების დაცვა

პალერმოს ოქმის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით:

შესაბამის შემთხვევებსა და შიდა კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა პირადი ცხოვრება და ვინაობა, აგრეთვე, ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებული სამართალწარმოების კონფიდენციალურობა.

ადამიანების ტრეფიკინგის მსხვერპლის ვინაობის საჯაროდ გაცხადება ზრდის მის მიმართ ადამიანებით მოვაჭრეთა მხრიდან ანგარიშსწორების საფრთხეს. როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები აცხადებენ მსხვერპლის ვინაობას და შემდეგ ქვეყნიდან მის დეპორტაციას ახდენენ, ადამიანებით მოვაჭრები ხშირად უსწორდებიან დაზარალებულს და მისი ოჯახის წევრებს ან ხელახლა აბავენ ტრეფიკინგში. პალერმოს ოქმის ზემოაღნიშნული ნორმა სახელმწიფოებს უწესებს ვალდებულებას აკრძალონ ტრეფიკირებულ პირთა სახელების, მისამართების ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის საჯაროდ გამუდავნება. თუ სახელმწიფო მაინც გაამუდავნებს ინფორმაციას, განსაკუთრებით იმ პირთა შესახებ, რომლებმაც ჩვენება მისცეს ადამიანებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ, მაშინ ის მზად უნდა იყოს უზრუნველყოს მსხვერპლი ახალი საცხოვრებლით, შეუცვალოს პირადი მონაცემები (ვინაობის ჩათვლით) და, ხშირ შემთხვევაში, ანალოგიურ ღონისძიებებს მიმართოს მისი ოჯახის წევრების მიმართაც. თუ სახელმწიფო არც მსხვერპლთა პირადი ცხოვრებისა და ვინაობის საიდუმლოებას დაიცავს და არც ახალი საცხოვრებლითა და პირადი მონაცემების შეცვლით უზრუნველყოფს მათ, მაშინ მსხვერპლები და მათი უფლებების დამცველი ორგანიზაციები ვერ ითანამშრომლებენ ხელისუფლებასთან. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის 24-ე მუხლის მე-2(ა) ქვეპუნქტი მოწმეთა დაცვის შესახებ, რომელიც შინაარსით ოქმის წინამდებარე მუხლის მსგავსია (თუმცა არა იდენტური), შეიცავს ამ მიმართებით სახელმწიფოთა ვალდებულებების უფრო მკაცრ ფორმულირებას.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვისა და დახმარების მექანიზმები

პალერმოს ოქმის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ თავის ში-დასამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სისტემაში უნდა გაითვალისწინოს ღონისძიებები, რომლებიც, შესაბამის შემთხვევებში, ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლებს უზრუნველყოფს:

(ა) ინფორმაციით შესაბამის სასამართლო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე;

(ბ) დახმარების განევით იმ მიზნით, რომ მათი შეხედულებები და პრობლემები წარმოდგენილ და მხედველობაში მიღებულ იქნეს დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების შესაბამის ეტაპებზე, დაცვის მხარის უფლებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

აღნიშნული ნორმა სახელმწიფოებს ავალდებულებს ტრეფიკირებულ პირებს მათ მშობლიურ ან გასაგებ ენაზე, თარჯიმნის მეშვეობით, ზეპირად ან წერილობით ინფორმაცია მიაწოდონ ამ უკანასკნელთა სამართლებრივი სტატუსისა და ამასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხების შესახებ. ამავე ნორმის „ბ“ ქვეპუნქტში მოხსენიებული „დახმარება“ სისხლის სამართალწარმოების სხვა-დასხვა ეტაპზე გულისხმობს იურიდიულდახმარებას, რადგან სამართალწარმოების პროცესში მსხვერპლს დახმარება მხოლოდ იურისტმა შეიძლება გაუწიოს. აღნიშნული ნორმა, ოქმის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან ერთად, მყარად ამკვიდრებს სახელმწიფოს ვალდებულებას გაუწიოს ტრეფიკინგის მსხვერპლს იურიდიული დახმარება. მართალია, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში გამოყენებული ტერმინი

„კონსულტაცია“ შეიძლება განიმარტოს როგორც მხოლოდ იურიდიული კონსულტაცია, მაგრამ, მე-6 მუხლის საერთო კონტექსტიდან გამომდინარე, მას მაინც უფრო ფართო მნიშვნელობა ენიჭება. იურიდიული დახმარება მსხვერპლს შესაძლებელია გაუწიოს მხოლოდ იურისტმა. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს შესაძლებლობა არა აქვს უზრუნველყოს მსხვერპლი იურისტით, იურიდიული დახმარებისთვის შესაძლებელია მოუხმონ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებს. იურიდიულ დახმარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ტრეფიკინგის მსხვერპლთა უდიდეს ნაწილს წარმოდგენა არა აქვს იმ ქვეყნების სამართლებრივ სისტემაზე, სადაც ისინი მოხვდნენ, და იმ უფლებებზე, რომლითაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ. ასეთ პირობებში მათი უფლებები უმოწყალოდ იღახება არა მხოლოდ ადამიანებით მოვაჭრეთა, არამედ თვით სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან, რომლებიც სულაც არ არიან დაინტერესებული ამ უფლებების დაცვით. მსხვერპლთა ძალიან მცირე რაოდენობას თუ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი და მათი უმეტესობა ქვეყნიდან დეპორტაციას ექვემდებარება ისე, რომ არც კი ეძლევა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საშუალება. ამიტომ, კანონიერი წარმომადგენლის, იურისტის, ადვოკატის ყოლის უფლების რეალიზება მეტად მნიშვნელოვანია. იურიდიული დახმარების უფლებას აძლიერებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის 25-ე მუხლის მესამე პუნქტიც, რომლის თანახმად:

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ, მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, დაზარალებულს უნდა შეუქმნას შესაძლებლობა, გამოხატოს და ჩამოაყალიბოს მისი მოსაზრებები ბრალდებულის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების შესაბამის ეტაპებზე, დაცვის მხარის ჯანუ ბრალდე-

ბულისა} უფლებათა შეულახავად.

ამრიგად, სახელმწიფოებს ევალებათ უზრუნველყონ ტრეფიკინგის მსხვერპლები იურიდიული დახმარებით სა-მართალწარმოების პროცესში მათი უფლებების დაცვის მიზნით. ეს მუხლები მიუთითებს აგრეთვე დაზარალებულ-თა უფლებაზე ჩვენება მისცენ სასამართლოს და სამარ-თალდამცავ ორგანოებს.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციის მექანიზმები

პალერმოს ოქმის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად:

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა განიხილოს იმპლემენტაციის ისეთი ზომების მიღების შესაძლებლობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ რეაბილიტაციას, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, არასამთავრობო ან სხვა ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარ-მომადგენლებთან თანამშრომლობის გზით, უზრუნველყოს ისინი:

- ა. შესაბამისი საცხოვრებლით;
 - ბ. კონსულტაციითა და ინფორმაციით, განსაკუთრებით მათი კანონიერ უფლებებთან დაკავშირებით, მათთვის გასაგებ ენაზე;
 - გ. სამედიცინო, ფსიქოლოგიური და მატერიალური დახ-მარებით;
 - დ. დასაქმებით, განათლებითა და სწავლებით.
- ეს დებულება ეხება ტრეფიკირებული პირების ყველაზე

უფრო არსებით მოთხოვნილებებს. არასამთავრობო ორგანიზაციებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ დაეხმარონ დაზარალებულებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ რეაბილიტაციაში, ამიტომ მათთან თანამშრომლობა აუცილებელია. მათ შეუძლიათ მსხვერპლთათვის მომსახურების გაწევა და ამავე დროს ფლობენ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს გამოადგებათ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაში. მრავალი ქვეყანა ახორციელებს ტრეფიკირებული პირების დაუყოვნებელ დეპორტაციას ან ამყოფებს მათ ციხეებსა და საპყრობილებში, რადგან შესაბამისი თავშესაფრები არა აქვს. სახელმწიფოებმა უნდა გააცნობიერონ, რომ თუ ტრეფიკირებულ პირებს არ უზრუნველყოფენ თავშესაფრით და მოახდენენ მათ დაუყოვნებელ დეპორტაციას, ისინი არ ითანამშრომლებენ სამართალდამცავ ორგანოებთან, არ განაცხადებენ დანაშაულის შესახებ, რაც ხელს შეუშლის დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეთა გამოვლენას. ამას კი შედეგად მოსდევს ადამიანების განმეორებით მსხვერპლად გახდომა, ხოლო ადამიანებით მოვაჭრენი ყოველგვარი სასჯელის გარეშე განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას. ტრეფიკირებული პირები არიან მსხვერპლები, რომელთაც სჭირდებათ „შესაბამისი საცხოვრებლით“ უზრუნველყოფა და არ შეძლება მათი მოთავსება ციხეებსა და საპყრობილებში. მართალია, მრავალ ქვეყანას არ გააჩნია სახსრები მსხვერპლთა გრძელვადიანი შეფარებისათვის, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მათ ვალდებულებისაგან მოკლევადიანი, უსაფრთხო თავშესაფრებით უზრუნველყონ ტრეფიკინგის მსხვერპლები. სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ გამოყონ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ან შენობა და შემდეგ ნებართვა და ფინანსები (გრანტი) გასცენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავშესაფ-

რის დაარსებისა და ფუნქციონირების ორგანიზებისათვის. ოქმის წინამდებარე ნორმა შეიძლება შიდა კანონმდებლობა-ში ინკორპორირებულ იქნეს ორ ნაწილად. პირველი ნაწილი უნდა ადგენდეს პრინციპს, რომ ტრეფიკირებული პირები არასოდეს მოათავსონ დაკავების ადგილებში, ციხეებსა და საპყრობილებში, გარდა უკიდურესი გამონაკლისებისა, როცა სხვა თავშესაფარი არ მოიპოვება და ამ შემთხვევა-შიც, მხოლოდ სხვათაგან განცალკევებით. მეორე ნაწილი კი უნდა გამოხატავდეს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნ-ველყოს ტრეფიკინგის მსხვერპლები შესაბამისი საცხოვრე-ბლით. სახელმწიფოებმა, რომელთა საკუთრებაც ხდება ადამიანით მოვაჭრეთა კონფისკირებული ქონება, ვალდე-ბული არიან უზრუნველყონ ამ უფლების განხორციელება. უფრო მეტიც, ყველა - როგორც ღარიბმა, ისე მდიდარმა - სახელმწიფომ უნდა მისცეს ასეთი მომსახურების განე-ვის საშუალება არასამთავრობო ორგანიზაციებს. პალერ-მოს ოქმის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები ეკისრებათ ტრეფიკინგის მსხვერპლთა როგორც წარმოშობის, ისე დანიშნულების ქვეყნებს მათ ტერიტორიაზე მყოფ მსხვერპლთა მიმართ. დანიშნულებ-ის ქვეყანას აღნიშნული ვალდებულებები ეკისრება სანამ მსხვერპლი არ დაბრუნდება საკუთარი წარმოშობის ქვეყა-ნაში, ამის შემდეგ ვალდებულებები გადადის წარმოშობის ქვეყანაზე. პალერმოს ოქმის მიხედვით, დამნაშავეთა სისხ-ლისამართლებრივი დევნა ყველა სახელმწიფოს საერთო ვალდებულებაა, ხოლო მსხვერპლთა უფლებების დაცვა - თითოეულის ინდივიდუალური. ამ პუნქტის დებულებების განსახორციელებლად სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ სპეციალური პროგრამები, რომლებიც უნდა დაფინანსდეს კონფისკაციით ამოღებული ქონების განაწილებით. ოქმის მე-6 მუხლით ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ მინიჭე-

ბული უფლებების განხორციელების დროს თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს მათი ასაკი, სქესი და სპეციალური მოთხოვნილებები, განსაკუთრებით ბავშვების სპეციალური მოთხოვნილებები, შესაბამისი საცხოვრებლით, განათლებითა და მზრუნველობით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა

პალერმოს ოქმის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი თითოეული მონაწილე სახელმწიფოსაგან მოითხოვს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დებულებაა, რადგან იგი უზრუნველყოფს არა მხოლოდ ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლი-მოწმების, არამედ ყველა ტრეფიკინგული პირის უფლებას უსაფრთხოებაზე. მსვერპლთა და მოწმეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას ეხება აგრეთვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის 24-ე და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

თითოეული წევრი სახელმწიფო, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, იღებს შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყოს სისხლის სამართალწარმოების პროცესში იმ მოწმეთა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ნათესავებისა და ახლობლების დაცვა შესაძლო ანგარიშსწორებისა და დაშინებისაგან, რომლებიც იძლევიან ჩვენებას ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით.

წინამდებარე დებულება ძალიან კარგია მოწმეთა და

„მათი ნათესავებისა და ახლობლების“ დასაცავად წინასწარი გამოძიების პროცესში და საქმის სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას. მაგრამ სასამართლო განხილვის დასრულებით საფრთხე არ სრულდება, ამიტომ მოწმეთა დაცვა სამართალწარმოების პროცესის დასრულებას უნდა გასცდეს. ხშირად ადამიანით მოვაჭრეები და მათი თანამოაზრენი სასამართლო პროცესის შემდეგ თავისუფალნი რჩებიან და სრული შესაძლებლობა ეძლევათ დაემუქრონ ან გაუსწორდნენ მათ. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოწმეთა დაცვის ზომები შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

ა) ისეთ პროცედურების დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნულ პირთა ფიზიკურ დაცვას, როგორიცაა, მაგალითად, რამდენადაც ეს აუცილებელი და შესაძლებელია, მათი სხვა ადგილას გადაყვანა და, თუ საჭიროება მოითხოვს, მათი პიროვნებისა და ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გაუხმაურებლობა ან შეზღუდული გახმაურება.

მოწმეების, მათი ნათესავებისა და ახლობლების დასაცავად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს მათი დეპორტაცია, თუ მათი წარმოშობის ქვეყანაში არსებობს ადამიანებით მოვაჭრეთა მხრიდან მათ მიმართ ანგარიშსწორებისა და დაშინების საფრთხე. სახელმწიფოებმა არ უნდა მოახდინონ მსხვერპლთა დეპორტაცია იმ ქვეყნებში, სადაც მათ საფრთხე ემუქრებათ. სამწუხაროდ, დღესდღეობით სახელმწიფოთა უმეტესობა ტრეფიკინგის მსხვერპლებსა და მოწმეებს მათი წარმოშობის ქვეყანაში მათი

უსაფრთხოების შესახებ ყოველგვარი გამოძიების გარეშე აპრუნებს. მოწმეთა სხვა ადგილას გადაყვანას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო განხილვამდე და განხილვის პროცესში მათი დაცვისას. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება უსაფრთხოების უზრუნველყოფა დანიშნულების ან წარმოშობის ქვეყანაში, შესაძლებელია მოწმის მესამე ქვეყანაში გადაყვანაც.

ბ) ისეთი პროცესუალური ნორმების დაწესება, რომლებიც უზრუნველყოფს მოწმის უსაფრთხოების დაცვით ჩვენების მიცემას, როგორიცაა, მაგალითად, ვიდეოკავშირის ან სხვა ადექტური კომუნიკაციის ტექნოლოგიის გამოყენება.

ეს დებულება შესაძლებლობას იძლევა, რომ შესაბამის შემთხვევებში, მოწმის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მის მიერ ჩვენების მიცემა ან მისი ჯვარედინი დაკითხვა მოხდეს არა სასამართლო სხდომის დარბაზში, არამედ სხვა ადგილას თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ მოწმეთა სხვა ადგილას გადაყვანის შესახებ სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების ან შეთანხმებების დადების შესაძლებლობა. მესამე ქვეყანაში მოწმეთა გადაყვანას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაშინ როდესაც წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნები პატარა სახელმწიფოები არიან, სადაც ძალზე ძნელია ადამიანმა შეუმჩნევლად განაგრძოს ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ მესამე ქვეყნებს ხშირად მსხვერპლთა მიღების არავითარი სურვილი არ გააჩნიათ, მაინც შესაძლებელია აღნიშნული საკითხის ორმხრივი

ხელშეკრულებებით მოგვარება. 24-ე მუხლის დებულებები გამოიყენება მსხვერპლთა მიმართაც, თუ ისინი არიან მოწმეები. იგი იცავს ყველა მოწმეს, მიუხედავად იმისა, მსხვერპლია თუ არა, მაშინ როცა ტრეფიკინგის ოქმის შესაბამისი დებულებები იცავს მხოლოდ მსხვერპლ-მოწმეებს. ამიტომ ამ საკითხზე შიდა კანონმდებლობის მიღებისას იურისტებმა სახელმწიფოების ყურადღება უნდა მიაქციონ კონვენციის წინამდებარე დებულებაზე. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით:

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც აუცილებელია ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულთა მსხვერპლთათვის დახმარების აღმოსაჩენად და დასცავად, კერძოდ, როდესაც ადგილი აქვს ანგარიშნორების მუქარას ან დაშინებას.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ წინამდებარე მუხლი პალერმოს ოქმის მე-6 მუხლის იდენტურია და არაფერს მატებს მას, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. კონვენციის 25-ე მუხლის ფორმულირება უფრო მკაცრია, ვიდრე ოქმისა, ამიტომ იგი მე-6 მუხლს სჯობს მრავალი თვალსაზრისით. პალერმოს ოქმი გამომდინარეობს პალერმოს კონვენციიდან და წარმოადგენს მის დამატებას. ამიტომ კონვენციისა და ოქმის მუხლებს შორის გადაფარვის ან კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება კონვენციის დებულებებს, თუ ოქმით სხვა რამ არ არის დადგენილი. თუ კონვენციის დებულებები მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვას უკეთ უზრუნველყოფს, ვიდრე ოქმისა, ისინი უნდა გამოყენებულ

იქნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნება მდგომარეობა, როდესაც ტრეფიკინგის მსხვერპლები და მოწმეები უფრო ნაკლებად დაცული იქნებიან, ვიდრე კონვენციით გათვალისწინებული სხვა დანაშაულებისა. მოპყრობაში ასეთი განსხვავება ნამდვილად არ წარმოადგენდა აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტების შემოქმედთა მიზანს.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლება მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე

პალერმოს ოქმის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ანესებს ტრეფიკინგის მსხვერპლებზე კომპენსაციის გაცემის ვალდებულებას. აღნიშნული მუხლის მიხედვით:

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ საკუთარ შიდასამართლებრივ სისტემაში უნდა უზრუნველყოს ისეთი მექანიზმების არსებობა, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლთ საშუალებას მისცემს, მიიღონ კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის.

ეს ნორმა სახელმწიფოებისაგან მოითხოვს მხოლოდ კომპენსაციის მიღების შესაძლებლობის და არა კომპენსაციისა და ზიანის ანაზღაურების უფლების უზრუნველყოფას. ის ასევე შეიძლება განიმარტოს, როგორც მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შექმნილი მსხვერპლთა საკომპენსაციო ფონდიდან კომპენსაციის მიღების უფლება, რომლის საფუძველზე მიღებული თანხა შესაძლებელია გაცილებით ნაკლები აღმოჩნდეს იმ თანხაზე, რომელსაც მსხვერპლი მიიღებდა უშუალოდ ტრეფიკინგში დამნაშავეთა ქონებიდან სასამართლო წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას. სახელმწიფო საკომპენსაციო ფონდები მსხვერპლებს,

როგორც წესი, მხოლოდ განსაზღვრული ოდენობის თანხას უხდიან, რომელიც შეიძლება სრულიად არაადექვატური იყოს იმ ზიანისა, რომელიც სინამდვილეში მსხვერპლს მიადგა. მეორეს მხრივ, საკომპენსაციო ფონდები ძალიან მოსახერხებელია, როცა ვერ ხერხდება ადამიანებით მოვაჭრეთა ქონების მოძიება და კონფისკაცია ან როცა აღნიშნული ქონება არასაკმარისია მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის. ზიანის ანაზღაურების ალტერნატიული და უკეთესი მოდელი მოცემულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმადაც:

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სათანადო პროცედურები კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების მსხვერპლთათვის კომპენსაციისა და რესტიტუციის (ზიანის ანაზღაურების) უფლების უზრუნველსაყოფად.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა სტატუსი და მათი რეპატრიაცია

პალერმოს ოქმის მე-7 მუხლის თანახმად:

ამ ოქმის მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულ ღონისძიებებთან ერთად, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ისეთი საკანონდებლო ან სხვა სათანადო ზომების მიღებაზე, რომლებიც შესაბამის შემთხვევებში ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლს მის ტერიტორიაზე დროებით ან მუდმივად დარჩენის საშუალებას მისცემს.

ეს უმნიშვნელოვანესი ნორმაა, რადგან ტრეფიკირებუ-

ლი პირების საემიგრაციო სტატუსი უნდა გადაწყდეს ისეთი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას, მისცემს მოფიქრებისა და დასვენების საშუალებას და ხელს შეუწყობს სამართალდამცავ ორგანოებთან მათ თანამშრომლობას. სხვა შემთხვევაში ისინი გამოძიების დახმარებას ვერ შეძლებენ და მათი უფლებების დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციებიც არ შეეცდებიან სამართალდამცავ ორგანოებთან მათი თანამშრომლობის უზრუნველყოფას. სახელმწიფოთა ნაწილმა უკვე აღიარა, რომ აუცილებელია, მსხვერპლს მიეცეს 45-60 დღიანი მოსაფიქრებელი ვადა იმ ფიზიკური და ფსიქოლოგიური სტრესის გადასალახავად, რომელიც მან ტრეფიკინგის შედეგად განიცადა, საკუთარ უფლებებსა და მდგომარეობაში გასარკვევად და გადასაწყვეტად, სურს თუ არა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა.

პალერმოს ოქმის მე-8 მუხლის თანახმად:

მონაწილე სახელმწიფო, რომლის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი არის ტრეფიკინგის მსხვერპლი დანიშნულების სახელმწიფოში შესვლის მომენტისთვის, ვალდებულია ხელი შეუწყოს და მიიღოს უკან დაბრუნებული ასეთი პირი დაუსაბუთებელი და არაგონივრული დაყოვნების გარეშე, მისი პირადი უსაფრთხოების დაცვის პირობით.

ეს ნორმა სახელმწიფოებს უწესებს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყონ, რომ ქვეყანაში დაბრუნებულ ტრეფიკირებულ პირებს არ დაემუქროთ ანგარიშსწორების ან სხვაგვარი ზიანის მიყენების (მაგ., ქვეყნის უკანონოდ დატოვების ან საზღვარგარეთ პროსტიტუციისათვის პასუხისმგებაში მიცემის) საფრთხე. ფრაზა „დაუსაბუთებელი და არაგონივრული დაყოვნების გარეშე“ გულისხმობს, რომ

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მსხვერპლის დაბრუნებაზე მხოლოდ მას შემდეგ, როცა მას მიეცა საკუთარი უფლებების სასამართლოს წესით დაცვის შესაძლებლობა და მისი უსაფრთხოება სამშობლოში დაბრუნებისას გარანტირებულია. ეს დებულება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სახელმწიფოთა უფლება მოახდინონ ტრეფიკირებულ პირთა დაუყოვნებელი დეპორტაცია. თუ სახელმწიფო ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლს აბრუნებს მისი წარმოშობის ქვეყანაში, დაბრუნება უნდა მოხდეს პირადი უსაფრთხოების დაცვით. ამავე დროს, ყურადღება უნდა მიექცეს ამ ადამიანით ვაჭრობის ფაქტზე აღძრულ სამართალწარმოებას; სასურველია, პირის დაბრუნება მოხდეს ნებაყოფლობით. სახელმწიფომ დაუსაბუთებელი ან არაგონივრული დაყოვნების გარეშე უნდა შეამონმოს, იყო თუ არა ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი მისი მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი დანიშნულების სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის მომენტში. სათანადო დოკუმენტაციის არმქონე ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლის დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით, მონაწილე სახელმწიფომ, რომლის მოქალაქე ან მუდმივი მცხოვრები იყო ეს პირი დანიშნულების სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის მომენტში, დანიშნულების სახელმწიფოს მოთხოვნით უნდა გასცეს ისეთი სამგზავრო დოკუმენტები ან სხვა ნებართვა, რომელიც აუცილებელია ამ პირის მიერ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე დაბრუნებისათვის.

უცხო ქვეყნების შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მრავალი სახელმწიფოს დამოკიდებულება ტრეფიკინგის მსხვერპლებისადმი საგრძნობლად შეიცვალა. სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ ტრეფიკინგი საერთაშორისო დანაშაულია, ხოლო ტრეფიკირებული ადამიანები აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლნი (და არა დამნაშავენი) არიან. შესაბამისად, მრავალმა სახელმწიფომ საკუთარ კანონმდებლობაში გაითვალისწინა მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები, რაც საშუალებას იძლევა მათი დაპატიმრების ან დაუყოვნებელი დეპორტაციის ნაცვლად მოხდეს მათვის სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების აღმოჩენა, მათი პირადი და ოჯახის წევრთა უშიშროების უზრუნველყოფა. ამ მექანიზმების გამოყენება მნიშვნელოვანნილად დამოკიდებულია მსხვერპლის ინფორმირებულობაზე, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში მცდარი წარმოდგენა აქვს თავისი სტატუსის შესახებ და ჰგონია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მას როგორც დამნაშავეს, ისე მოეპყრობიან. ასეთ პირობებში მსხვერპლის (პოტენციური მსხვერპლის) ინფორმირებულობას მისი უფლებების თაობაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კანონმდებლობის ცოდნა აუცილებელია შექმნილი ვითარების სწორად შეფასებისათვის, რათა ტრეფიკინგის მსხვერპლი არ გახდეს ადამიანით მოვაჭრეთა მხრიდან გამუდმებული ფსიქოლოგიური იძულების, დაშინების ან შანტაჟის ობიექტი. ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ სახელმწიფოთა დამოკიდებულებაში პოზიტიური ცვლილებების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის მიერ აღნიშნულ სფ-

ეროში მიღებული კანონები, რომლებმაც საფუძველი ჩაუ-
ყარა მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების შექმნას. თუმცა
ეს მექანიზმები ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისაგან,
ისინი მაინც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და
შეიძლება გაზიარებულ იქნეს სხვა სახელმწიფოების მიერ,
როგორც პროგრესული სამართლებრივი მიდგომის ნიმუში.

აშშ-ს კანონმდებლობა

აშშ-მ 2000 წელს მიიღო სპეციალური კანონი - „ტრე-ფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის აქტი 2000“, რომლითაც აღიარა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა უმძიმეს დარღვევებს და სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ისინი დაცვითა და დახმარებით. აღნიშნული კანონით მოხდა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია და შეიქმნა დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის სისტემა. კანონის თანახმად, ტრეფიკინგის მსხვერპლი უფლებამოსილია ყველა იმ სოციალური სარგებელისა და მომსახურების მიღებაზე, რომელიც აშშ-ს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ლტოლვილებისათვის. იმისათვის, რომ პირს მიენიჭოს ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

(ა) სამართალდამცავი ორგანოების შეფასებით იყოს მსხვერპლი და პოტენციური მოწმე მომავალ სასამართლო პროცესზე;

(ბ) ფიზიკურად იმყოფებოდეს აშშ-ს ტერიტორიაზე ტრეფიკინგის შედეგად;

(გ) დათანხმდეს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე; და

(დ) არსებობდეს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მას სერიოზული საფრთხე ემუქრება.

ასეთი პირისათვის აშშ-ს კანონმდებლობით გათვალ-

ისწინებულ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია ქვეყნის ტერიტორიაზე დროებითი ბინადრობის უფლება, რომელიც მსხვერპლს ენიჭება გენერალური პროკურორის მიერ გაცემული მიმართვის საფუძველზე. „ტრეფიკინგი-სა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღებამდე, შეერთებული შტატების პრაქტიკაში დროებითი ბინადრობის უფლების მინიჭების ისეთი მექანიზმები არსებობდა, როგორიცაა ე.წ. „თავდებით გათავისუფლება“ ან „სანქციის გამოყენების გადავადება“, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლებს ქვეყანაში დარჩენისა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის ადამიანებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების შესაძლებლობას აძლევდა. მაგრამ ზემოხსენებული მექანიზმები თავისი მასშტაბით ჩამოუვარდებოდა იმ ზომებს, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის „ტრეფიკინგი-სა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ კანონმა დაადგინა. აღნიშნული კანონის 107-ე მუხლის „ც“ პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის მიხედვით, აშშ-ს გენერალურ პროკურორს შეუძლია ტრეფიკინგის მსხვერპლს მიანიჭოს „დროებითი ბინადრობის უფლება“, თუ სამართალდამცავი ორგანო ამ პირს „ტრეფიკინგის მძიმე ფორმის“ მსხვერპლად მიიჩნევს და განიხილავს მას ასეთი დანაშაულის შესაძლო მოწმედ. ფაქტიურად ეს ზომა წარმოადგენს დეპორტაციისაგან დაცვას, რომლის ერთადერთი მიზანია სამართალდამცავი ორგანოებისათვის გამოძიების პროცესში დახმარების გაწევა. ეს ზომა არ ითვალისწინებს მსხვერპლისათვის მოსაფიქრებელი ვადის მიცემას (როგორც ეს ხდება ბელგიასა და ნიდერლანდებში). ტრეფიკინგის მსხვერპლი დაუყოვნებლივ უნდა დათანხმდეს თანამშრომლობაზე, რათა მას „დროებითი ბინადრობის უფლება“ მიენიჭოს. ზემოაღნიშნული

მუხლი ასევე ითვალისწინებს სამართალდამცავთა ვალ-დებულებას უზრუნველყონ მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოება, მათ შორის, მათი დაცვა ადამი-ანებით მოვაჭრეთა და მათ დამხმარეთა მხრიდან მუქარის, დაშინებისა და ანგარიშსწორებისაგან. „დროებითი ბინადრობის უფლება“ მოიცავს აშშ-ს ტერიტორიაზე მუშაობის უფლებასაც. „დროებითი ბინადრობის უფლება“ შეეხება ტრეფიკინგის ისეთ ფორმას, რომელსაც ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ კანონი „ტრეფიკინგის მძიმე ფორმად“ მოიხსენიებს. იგი ფაქტიურად „ტრეფიკინგის“ სისხლის სამართლებრივი ცნების ანალოგიურია, თუმცა „მძიმე ფორმა“ ხაზს უსვამს ქმედებაში ისეთი ელემენტების არსებობის აუცილებლობას, როგორიცაა ძალადობა, მოტყუება ან იძულება. „ტრეფიკინგის მძიმე ფორმის“ ცნება მჭიდროდ უკავშირდება პალერმოს ოქმის ტრეფიკინგის დეფინიციას.

S, T და U ტიპის ვიზები

„ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღებამდე ტრეფიკინგის მსხვერპლთ, რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ, აშშ-ში ბინადრობის უფლება ენიჭებოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ტრეფიკინგში დამნაშავეთა წინააღმდეგ ჩვენებებს მისცემდნენ. ასეთი ბინადრობისათვის სხვადასხვა საფუძველი გამოიყენებოდა, მათ შორის, სასამართლო პროცესის შემდგომი S ტიპის ვიზა. S ტიპის ვიზების ოდენობა წელიწადში მხოლოდ 250 შეადგენს და განკუთვნილია უფრო

ტერორისტული აქტებისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირებისათვის, ვიდრე ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის. S ტიპის ვიზის მინიჭება ჩვენების მიცემაზე თანახმა ტრეფიკინგის მსხვერპლი -მოწმეებისათვის გარანტირებული არ არის (რადგან არსებობს მათი ჩვენების დისკრედიტაციის ან სადავონბის დიდი რისკი), ამიტომ ისინი იძულებულნი არიან ენდონ პროკურორს, რომელმაც შესაძლოა იშუამდგომლოს მათთვის S ტიპის ვიზის მიცემაზე.

„ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ კანონით შემოღებული T ტიპის ვიზა წარმოადგენს გაუმჯობესებულ S ტიპის ვიზას. მისი მიზანია სპეციალურად ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემების მოგვარება, ხოლო მისი გაცემა შესაძლებელია სასამართლო პროცესის დაწყებამდეც. T ტიპის ვიზა მხოლოდ ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არის განკუთვნილი, მაშინ როდესაც ახლი U ვიზა „ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით მიეცემათ მხოლოდ საგანგებო სერიოზული დანაშაულის, მათ შორის, ტრეფიკინგის მიგრანტ მსხვერპლებს. ამ ტიპის ვიზებს გენერალური პროკურორი ანიჭებს, რომელიც ასევე ვალდებულია მსხვერპლი არასამთავრობო ორგანიზაციას გადასცეს. ეს უკანასკნელი კი მას კონსულტაციას უწევს აშშ-ში მისი უფლებების შესახებ. T და U ტიპის ვიზის მფლობელებს აშშ-ში მუშაობის უფლებაც გააჩნიათ.

T ტიპის ვიზა მიეცემათ ტრეფიკინგის იმ მსხვერპლთ, რომლებიც აშშ-ს ტერიტორიაზე იმყოფებიან, იმ პირობით, თუ მათ თანხმობა განაცხადეს გამოძიებისათვის ხელის შეწყობაზე ან ადამიანით მოვაჭრეთა წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე და თუ ისინი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩ-

ნდებიან აშშ-დან დეპორტაციის შემთხვევაში. ამდენად, T ტიპის ვიზის მიღება დამოუკიდებულია მსხვერპლის თანხმობაზე გასცეს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება სასამართლოში. T ტიპის ვიზა შეიძლება ასევე მიეცეს მსხვერპლის მეუღლეს, შვილს ან მშობლებს (გარკვეული ასაკობრივი ზღვარის ფარგლებში) თუ ეს აუცილებელია მძიმე მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ყოველწლიურად გამოყოფილია 5000 ვიზა (ეს ზღვარი მათ ნათესავებს არ ეხებათ). T ტიპის ვიზის მფლობელ ტრეფიკინგის მსხვერპლს შეუძლია ითხოვოს მუდმივი ბინადრობის უფლების მინიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი მუდმივად ცხოვრობს აშშ-ს ტერიტორიაზე სამი წლის მანძილზე, არ ჩაუდენია რაიმე სამართალდარღვევა და თანხმობა განაცხადა დაეხმაროს გამოძიებასა და ბრალდებას ან თუ უკან დაბრუნების შემთხვევაში იგი ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება (მაგ., თუ არის საფრთხე, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შედეგად მას შეიძლება განსაკუთრებული ზიანი მიადგეს).

იუსტიციის დეპარტამენტის მიერ დადგენილი T ტიპის ვიზის გაცემის წესის მიხედვით, ტრეფიკინგის მსხვერპლს შეუძლია იგი დამოუკიდებლად მოითხოვოს იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურისაგან. დამოუკიდებლად მიმართვის აზრი იმაშია, რომ აღკვეთილ იქნეს მსხვერპლი-მოწმისაგან ჩვენების მოტყუებით ან გამოძალვით მიღების საფრთხე, რაც შეიძლება ამ სამართალდარღვევის გამოვლენისა და დევნისაგან ბინადრობის უფლების მოპოვების პროცესის გამოყოფამ გამოიწვიოს. ეს იდეა კიდევ უფრო განმტკიცებულია იმ წესში, რომლის მიხედვითაც ტრეფიკინგის მსხვერპლი ვალდებულია ურთიერთობა იქონიოს სამართალდამცავ ორგანოსთან და წარმოადგინოს სამართალ-

დამცავი ორგანოს მიერ გაცემული ე.წ. ინდოსამენტი (ანუ ცნობა, სადაც აღნერილია როგორ ეხმარება ის გამოძიებას ან ბრალდებას). გარდა ამისა, მსხვერპლი ვალდებულია ამტკიცოს, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. მძიმე მდგომარეობის მაგალითებს წარმოადგენს ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლად გახდომით გამოწვეული მძიმე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმა, ზიანის ანაზღაურების ან ადამიანით მოვაჭრეთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების შეუძლებლობა, ხელმეორედ ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის ან სხვაგვარი ზიანის საფრთხე. „მართალია, T ტიპის ვიზა სამი წლის ვადით გაიცემა, მაგრამ ის შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს, მაგალითად, როცა სამართალდამცავი ორგანო გააუქმებს თავის „ინდოსამენტს“ ან შეატყობინებს იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურს, რომ პირმა „დაუსაბუთებლად განაცხადა უარი თანამშრომლობაზე“. ასეთ შემთხვევებში გაურკვეველია შეიძლება თუ არა ტრეფიკინგის მსხვერპლის სამშობლოში დეპორტაცია, თუ დანამდვილებით არის ცნობილი, რომ დაბრუნების შემთხვევაში ის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ნებისმიერ დროს გაუქმების შესაძლებლობა არსებითად ამცირებს T ტიპის ვიზის დამოუკიდებლობას სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესისაგან. იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურს შეუძლია ვიზა მსხვერპლზე ზემოქმედების საშუალებად გამოიყენოს, რათა აიძულოს ეს უკანასკნელი ითანამშრომლოს გამოძიებასთან. ეს გარემოება ფარდას ხდის იმ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვასთან, რადგან ისინი იძულებულნი ხდებიან ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან და ასეთი

იძულების შედეგად შესაძლოა კიდევ უფრო მეტი ზიანისა და საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ის რაც გამომძიებლისათვის თანამშრომლობის შესახებ „გონივრული მოთხოვნას“ წარმოადგენს, შეიძლება არც თუ ისე გონივრული აღმოჩნდეს ტრავმირებული და შეშინებული მსხვერპლისათვის, განსაკუთრებით მისთვის, ვის ოჯახსაც საფრთხე ემუქრება. T ტიპის ვიზის ყოველწლიური ქვოტა 5000 შეადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ყოველწლიურად 50.000 ქალი და ბავშვი ხდება აშშ-ში ტრეფიკინგის მსხვერპლი, ნათელი ხდება რომ მათ მხოლოდ 10%-ს თუ შეუძლია T ტიპის ვიზის მიღებით მეტ-ნაკლებად დაცულად იგრძნოს თავი.

U ტიპის ვიზა სხვა კრიტერიუმებით გაიცემა. მსხვერპლმა უნდა დაამტკიცოს, რომ მან, როგორც გარკვეული დანაშაულის მსხვერპლმა, არსებითი ხასიათის ფიზიკური ან სულიერი ზიანი განიცადა, აქვს ინფორმაცია დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ და სურს დაეხმაროს (ან ეხმარებოდა) სამართალდამცავ ორგანოებს. „დახმარების სურვილის ქონა“ სამართალდამცავების მიერ დგინდება. უტიპის ვიზა შეიძლება გაიცეს მეუღლესა და შვილებზე მათი განსაცდელში მოხვედრისაგან თავის არიდების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ჩათვლის, რომ გამოძიების პროცესი შესაძლოა დაზარალდეს მსხვერპლის გვერდით მეუღლის ან შვილის არყოფნით. ასეთი ვიზების მაქსიმალური ოდენობა ყოველწლიურად 10.000-ს შეადგენს. U ტიპის ვიზის მფლობელს მუდმივი ბინადრობის უფლება შეიძლება მიეცეს აშშ-ში სამი წლის ბინადრობის შემდეგ, თუ მფლობელმა თანხმობა განაცხადა ძიების ან ბრალდებისათვის დახმარების განევაზე და თუ მისი ყოფნა აშშ-ს ტერიტორიაზე გამართლებულია ჰუმანიტარული მოსაზრებებით,

ოჯახის ინტერესების დასაცავად ან საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის მიზნით. უ ტიპის ვიზის გაცემის რაიმე სპეციალური წესი ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.

* * *

მიუხედავად „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ კანონის არსებობისა, გამოძიების პროცესი მაინც მრავალ დაბრკოლებას აწყდება. ტრეფიკინგთან ბრძოლის კოალიციის - CAST-ის ინფორმაციით, ამ კანონის წარმატება ან წარუმატებლობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურზე, რომელიც კანონის დებულებების ცხოვრებაში გამტარებელი ძირითადი იორგანოა. სამართალდამცველთა მიერ ამ ტიპის საქმეებზე მუშაობით მიღებული ცოდნა და გამოცდილება ხშირად არაეფექტურად გამოიყენება, რადგან სამართალდამცავებს ამ კონკრეტულ საქმეებზე ძირითადად გეოგრაფიული მიკუთვნებადობის მიხედვით ნიშნავენ და არა საქმის შინაარსის გათვალისწინებით. ხშირად ის ექსპერტები, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლთ დახმარებას უწევენ, იძულებულნი არიან ერთგვარი „ტრეინინგი“ ჩაუტარონ ხოლმე სამართალდამცავებს ტრეფიკინგთან და მის მსხვერპლთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გამოძიებისა და ბრალის წაყენების წარმატებით დაგვირგვინება ძირითადად მაშინ ხდება, როცა სამართალდამცველები გამოცდილი არიან ასეთი საქმეების წარმოებაში, თან გულისხმიერებით ეკიდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლისათვის მნიშვნელოვან ისეთ საკითხებს, როგორიცაა ენა, კულტურა, უსაფრთხოება და საიმიგრაციო სტატუსი. ერთ-ერთ შემთხვევაში საქმის

წარმატების მიზეზი, რაც დამნაშავის სწრაფ გასამართლებაში გამოიხატა, გახდა იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის, იუსტიციის დეპარტამენტისა და შრომის დეპარტამენტის თანამშრომელთა გამოცდილება ამ სახის საქმეების წარმოებაში, რადგან მათ ადრე ჰქონდათ შეხება მსგავს საქმეებთან. გარდა ამისა, ტრეფიკინგის მსხვერპლი ეხმარებოდა ძიებას და მისი უფლებების დამცველ ორგანიზაციასთან ერთად ერთგვარ ზენოლას ახორციელებდა სამართალდამცავებზე, რომ მათ სწრაფად ემოქმედათ. სხვა საქმის წარმოებისას, ადამიანით მოვაჭრეთა ეფექტური სისხლისამართლებრივი დევნა შეფერხდა იმის გამო, რომ გამომძიებლები ნელა მოქმედებდნენ, არ ფლობდნენ უცხო ენას და არ იცნობდნენ ასეთი საქმეებისათვის დამახასიათებელ სირთულეებს. ანალოგიურად, CAST-ის განცხადებით, ერთ-ერთი საქმის წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა მსხვერპლის ადვოკატის მიზანმიმართულმა ურთიერთობამ გამომძიებლებთან და ბრალმდებლებთან, აგრეთვე მათზე მუდმივმა ზენოლამ დროულად ჩატარებინათ გამოძიება და გადაეცათ საქმე სასამართლოსთვის.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა

აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, მოწმეთა დაცვის ყოვლისმომცველი ღონისძიებები ხელმისაწვდომია იმ მოწმეებისთვისაც, რომლებიც ჩვენებას აძლევენ ისეთი დანაშაულის მხილებისა და გამოვლენისთვის, როგორიცაა ადამიანების ტრეფიკინგი, იძულებითი შრომა, მონობა, არანებაყოფლო-

ბითი სერვიტუტი და დოკუმენტების უკანონო ჩამორთმევა. აშშ-ს კანონმდებლობით განსაზღვრული მოწმეთა დაცვის ლონისძიებები მოიცავს სახელისა და გვარის, საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებას, ფინანსური დახმარების გაწევას, დახმარებას დასაქმებისას, აგრეთვე სხვა სახის დახმარებას, რაც ხელს შეუწყობს პირს თავად იზრუნოს თავის ცხოვრებაზე. ტრეფიკინგის მსხვერპლის მიმართ ანგარიშსწორების „რეალური“ საფრთხის არსებობის დადგენა აუცილებელია, რაც სათანადო მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს. ეს კი მეტად რთულია. როგორც ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს: „მოწმეთა დაცვის პროგრამის არსი ემყარება მოწმეთა ჰარმონიულ თანაცხოვრებაში შესვლას დანარჩენ მოსახლეობასთან, რაც ტრეფიკინგის შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია, რადგან მსხვერპლი მიგრანტია, არ ფლობს ინგლისურ ენას და არ შეუძლია დამოუკიდებელ ცხოვრებას ისე სწრაფად შეუდგეს, როგორც ამას პროგრამა მოითხოვს“. ამდენად, მოწმეთა დაცვის ფედერალური პროგრამა (მოწმეთა სრულყოფილი დაცვა შეცვლილი ვინაობითა და ადგილსამყოფელით) ყოველთვის არ გამოდგება ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ. ტრეფიკინგის შემთხვევების დროს გამოყენებული მოწმეთა დაცვა უფრო მეტად ad hoc ხასიათს ატარებს წარმატების მეტ-ნაკლები ხარისხით. ფედერალური კანონის მიხედვით, მოწმის ოჯახი შეიძლება დაცულ იქნეს და შესაბამისად გადაყვანილ იქნეს საცხოვრებლად სხვა ადგილზე „თუ მას საფრთხე ემუქრება სამართლებრივ ლონისძიებებში მონაწილეობის გამო“. ტრეფიკინგის რამდენიმე შემთხვევის დროს, ტრეფიკინგის მსხვერპლთა ოჯახის წევრების (მეუღლე, შვილი და დაძმა) მიმართ უსაფრთხოების გარანტიის ლონისძიების სახით

გამოყენებულ იქნა მათი გადაყვანა საცხოვრებლად აშშ-ში. კერძოდ, ასეთი ღონისძიება იქნა გამოყენებული ცნობილი სან-ფრანცისკოელი დამქირავებლის - ლაკირედი ბელი რედის მიმართ (რედის საქმე), რომელიც ტრეფიკირებულ მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს ათწლეულის მანძილზე სექსუალურ და სხვაგვარ შრომით ექსპლუატაციას უწევდა. ფლორენსის საქმეზე მიღებული ზომები მიმართული იყო მისი ოჯახის დასაცავად მისივე სამშობლოში, მაგრამ გვბ-მ არ დააკონკრეტა კერძოდ რა ღონისძიებები იქნა გამოყენებული ამ მიზნით.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა სასამართლო პროცესის მსვლელობისას

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ფორმალური დაცვის ღონისძიებების განხორციელება აშშ-ში მეტად იშვიათია. კონსტიტუციით გარანტირებულია სამართლიანი პროცესის უფლება, რაც თავის მხრივ ასახულია მართლმ-საჯულების ღია სისტემის პრიორიტეტში. იმ სრულწლოვან მოწმეებს, რომლებიც დანაშაულის მსხვერპლი გახდნენ, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დაცვის უფრო ნაკლები საშუალებები გააჩნიათ, ვიდრე ანალოგიურ მოწმეებს სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში. ერთადერთი რეალური ღონისძიება სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მოწმის დასაცავად არის მოწმის უფლება ითხოვოს თავისი ვინაობის საიდუმლოდ შენახვა მთელი პერიოდის განმავლობაში, რათა მისი ვინაობა საზოგადოებისთვის არ გახდეს ცნობილი. სისხლის სამართლის პროცესი ყოვ-

ელთვის საჯაროა და ამიტომ არ არსებობს რაიმე ვალდებულება ასეთი კონფიდენციალურობის დასაცავად, თუმცა სასამართლო პროცესის მიმდინარეობის გაშუქებისას მოქმედი ეთიკური ნორმების საფუძველზე მოწმეთა ვინაობის გამუღავნება პრესით მაინც იზღუდება. 2000 წელს გენერალურმა პროკურორმა მიიღო „მოწმეთა და მსხვერპლთა დაცვის ზოგადი წესები“, რომლებიც სრულად მოიცავს გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობისას მოწმესა და მსხვერპლთან სამართალდამცავთა ურთიერთობის სტანდარტებს. აშშ-ში მოქმედებს დანაშაულის მსხვერპლ-მოწმეთა კოორდინატორების ინსტიტუტი. კოორდინატორები მიმაგრებული არიან გამოძიების ორგანოებზე. ისინი ინფორმაციას აწვდიან და ყოველმხრივ ეხმარებიან იმ დანაშაულთა მსხვერპლებს, რომლებიც ფედერალურ სისხლის სამართლის საქმეებზე მოწმეებად გამოდიან. ასეთი კოორდინატორები სისხლისამართლებრივი დევნის პროცესის შემადგენელ რგოლს წარმოადგენენ, მაგრამ ხშირად რესურსების ნაკლებობა ხელს უშლის კოორდინატორებს მათი მრავალმხრივი ფუნქციების სრულყოფილად შესრულებაში. მაგალითად, კალიფორნიაში მხოლოდ სამი კოორდინატორია გამოყოფილი ფედერალური დანაშაულების ყველა მსხვერპლი-მოწმეებისათვის. ამ დანაშაულთაგან კი ადამიანების ტრეფიკინგი მხოლოდ ერთ-ერთია. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას კოორდინატორებს უფლება აქვთ მსხვერპლ-მოწმეთა გვერდით ისხდნენ, როგორც დაცვის ღონისძიების ნაწილი და დაეხმარონ მათ განსასჯელისათვის სასჯელის დანიშვნამდე სპეციალური განაცხადების, ე.წ. “impact statement”-ის შედგენაში. ასეთი განაცხადები მოსამართლეს წარედგინება სასჯელის დანიშვნამდე, რათა სასჯელის დანიშვნისას მსხვერპლის პოზიციის

გათვალისწინება უზრუნველყოფილ იქნას. მიჩნეულია, რომ “plea bargain”-ის ამერიკული სისტემაც დაცვის ერთგვარი ღონისძიებაა, რადგან იგი შესაძლებელს ხდის განსასჯელი გასამართლებულ იქნეს სასამართლოში მსხვერპლი-მოწმის მიერ ჩვენების მიცემის გარეშე. ერთ-ერთ საქმეზე გამართული “plea batrain arraingment”-ის დროს ადამიანით მოვაჭრეს სასჯელის ზომად განესაზღვრა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ოთხი მსხვერპლისათვის ზიანის ანაზღაურების სახით ორი მილიონი ამერიკული დოლარის გადახდა.

ინფორმაციის მიღების უფლება

აშშ-ს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ფედერალური დანაშაულის მსხვერპლს უფლება აქვს ინფორმირებული იყოს სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ასევე მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის, ბრალდების არსის, მსჯავრდებულისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრის, თავისუფლების აღკვეთის, აგრეთვე დამნაშავის გათავისუფლების შესახებ. სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ირგვლივ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ინფორმირება ასევე შედის მსხვერპლი-მოწმეების კოორდინატორების ფუნქციებში.

ადვოკატის უფლება სისხლის სამართლის პროცესში

იურისტები წარმოადგენენ და იცავენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა საიმიგრაციო და სამოქალაქო მოთხოვნებს, თუმცა მათ ასევე შეუძლიათ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე გარკვეული პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა.

მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლთა ადვოკატები უშუალოდ სასამართლო პროცესში არ მონაწილეობენ, ისინი უზრუნველყოფენ საქმის წარმოების უველა სტადიაზე ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებების დაცვას და ესწრებიან მის დაკითხვას გამომძიებლისა და პროკურორის მიერ.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება

ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული დახმარების მისაღებად მსხვერპლს უნდა გააჩნდეს „ბონა ფიდე“ განაცხადი T ტიპის ვიზაზე და მზად იყოს ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ ან მინიჭებული ჰქონდეს აშშ-ში ბინადრობის უფლება. ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მიღების პროცესი პრაქტიკაში მეტად დიდ დროს მოითხოვს. სტატუსის მიღების პროცესში მსხვერპლები მთლიანად დამოკიდებული ხდებიან არასამთავრობო ორგანიზაციების, ან მსხვერპლი-მოწმეების დამცველი ფონდების მიერ გამოყოფილ სახსრებზე. სამედიცინო მომსახურებაც შემოიფარ გლება მცირე მოცულობის გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტების არმქონე პირთათვის. შესაფერისი თავშესაფრის უქონლობა მომსახურების სფეროში ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს, რადგან აშშ-ს მთავრობას არ დაუფინანსებია თავშესაფრები საგანგებოდ ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის. მთავარი პრობლემა მსხვერპლისთვის ისეთი თავშესაფრის პოვნაა, რომელიც უზრუნველყოფს მის ხანგრძლივ დაბინავებას, უსაფრთხოებას და შესაფერის კულტურულ გარემოს. შრომის უფლება T ტიპის ვიზის გაცემის საფუძველზე ხორციელდება, რაც ამ ვიზების სწრაფად გაცემის საჭიროებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება

ანაზღაურების შესახებ ფედერალური კანონის მიხედვით სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია ბრალდებულს დააკისროს მსხვერპლის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის სრული ოდენობის გარდა იმ ხელფასის ანაზღაურებაც, რომელიც მას ეკუთვნის გაწეული შრომის ან მომსახურებისათვის. კანონის 1594-ე მუხლი ითვალისწინებს ადამიანით მოვაჭრეთა მთელი ქონების კონფისკაციის შესაძლებლობას ბიუჯეტის სასარგებლოდ, თუმცა გაურკვეველია, ასეთი კონფისკაცია მოხდება მსხვერპლისათვის სავალდებულო ანაზღაურების გადახდამდე თუ გადახდის შემდეგ. როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჯგუფი აღნიშნავს, აუცილებელია, ცალსახად დაფიქსირდეს, რომ კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონებიდან, უპირველეს ყოვლისა, ტრეფიკინგის მსხვერპლისათვის აუცილებელი კომპენსაციისა და ანაზღაურების გადახდა მოხდეს. მსხვერპლს ასევე შეუძლია სამოქალაქო სარჩელი აღძრას ადამიანის მოვაჭრის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მეტად რთული პროცედურაა, რადგან ამ შემთხვევაში ტრეფიკინგის მსხვერპლს მოუწევს მოითხოვოს თანხის მიღება იმ კონფისკაციაქმნილი ქონებიდან, რომელიც უკვე სახელმწიფოს გადაეცა. ზოგადად, ტრეფიკინგის მსხვერპლი სამოქალაქო სარჩელს აღძრავს სისხლის სამართლის საქმის დასრულების შემდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირველ ეტაპზე დაკმაყოფილებული არ იქნა.

ტრეფიკინგთან დაკავშირებული ახალი სისხლის სამართლებრივი დებულებები სრულად ასახავს პალერმოს ოქმის მოთხოვნებს და პრაქტიკაში გამოსაყენებლად უფრო მეტად ხელსაყრელია სამართალდამცავთათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის დეფინიციაში ფსიქოლოგიური ძალადობის ელემენტის შეტანა, რაც ზრდის სამართალში მიცემული პირების რაოდენობას იმ დანაშაულებისათვის, სადაც ნაკლებად იკვეთება ფიზიკური იძულება ან მუქარა. აშშ-ს კანონმდებლობის ნაკლოვანებაა ის, რომ იგი არ ითვალისწინებს ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მოსაფიქრებელ პერიოდს და ქვეყანაში დროებითი დარჩენის უფლებას აძლევს მხოლოდ მათ, ვინც დაუყოვნებლივ დათანხმდება სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე.

ბელგიის კანონმდებლობა

დანაშაულის დეფინიცია

ბელგიამ 1995 წლის 13 აპრილს მიიღო კანონი „ადამიანთა ტრეფიკინგისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ“ და ამით იქცა ერთ-ერთ პირველ ქვეყანად, რომელმაც შეიტანა ადამიანების ტრეფიკინგის ცნება საკუთარ კანონმდებლობაში. იგი განსხვავდება სხვა ევროპული სახელმწიფოებისაგან იმითაც, რომ ბელგიის კანონმდებლობა დანაშაულად აღიარებს არა მხოლოდ სქესობრივი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგს, არამედ სხვა, მაგალითად, შრომითი ექსპლუატაციის მიზნითაც. 13 აპრილის კანონმა შესაბამისი ცვლილებები შეიტანა ბელგიის იმიგრაციის

კანონსა (1980 წლის 15 დეკემბერი) და სისხლის სამართლის კოდექსში. პირველს დაემატა მუხლი 77-ის, რომელიც მოიცავს ადამიანთა ყველა სახის ტრეფიკინგს, ხოლო მეორეს მუხლები 3792 და 380-ის, რომლებიც დანაშაულად აცხადებს ტრეფიკინგს სქესობრივი ექსპლუატაციის მინით. იმიგრაციის კანონის 77-ე მუხლის თანახმად, დანაშაულად მიიჩნევა ძალადობით, მუქარით, იძულებით ან მოტყუებით უცხო ქვეყნის მოქალაქის შემოყვანა ბელგიის ტერიტორიაზე, ან მისი უმწეობის ბოროტად გამოყენება, რაც უკავშირდება ამ უკანასკნელის არალეგალურ ან არამყარ სამართლებრივ მდგომარეობას, ფეხმძიმობას, ავადმყოფობას ან ქმედუუნარობას. აღნიშნული დანაშაულისათვის გათვალისწინებულია სასჯელი ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით. 2001 წელს ამ მუხლში შესული ცვლილების შედეგად მისი მოქმედება გავრცელდა იმ პირებზეც, ვინც პირდაპირ ან არაპირდაპირ ბოროტად იყენებს უცხოელის უმწეო მდგომარეობას და ყიდის, აქირავებს ან იყენებს შენობებს შეუსაბამო შემოსავლების მიღების მიზნით. თუ აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება რეგულარულად, ჯარიმის ოდენობა იზრდება. ასევე იზრდება სასჯელი 10-დან 15 წლამდე და ჯარიმის ოდენობა, თუ აღნიშნული მოქმედებები ხორციელდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 380-ბის მუხლი დანაშაულად აცხადებს პროსტიტუციაში ჩაბმის ყველა ქმედებას (მიუხედავად პროსტიტუციაში ჩაბმული პირის თანხმობისა) და ითვალისწინებს სასჯელს ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებს, როგორიცაა მოტყუების, ძალადობის, მუქარის ან იძულების ნებისმიერი სხვა

ფორმის ან უცხოელის უმწეობის გამოყენება, რაც ისჯება 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით. 15-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით ისჯება ორგანიზებული ჯგუფის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა. ამრიგად, ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანთა ტრეფიკინგად მიიჩნევა პირის კომერციულ სქესობრივ ექსპლუატაციაში ჩაბმა ან საზღვარზე უკანონო გადაყვანა მუქარის, ძალადობის, იძულების, მოტყუების ან მისი (უცხოელის) უმწეო ან არამყარი მდგომარეობის გამოყენებით. პრაქტიკაში ტერმინი „უმწეობის ან არამყარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“ იმდენად ფართოდ განიმარტება, რომ უცხოელის არალეგალური სამართლებრივი სტატუსი საკმარისია მისი უმწეობის ბოროტად გამოყენების დასამტკიცებლად.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება და დაცვა

1995 წელს მიღებულ იქნა სამეფო დეკრეტი, რომლითაც სამ არასამთავრობო ორგანიზაციას Payok, Pag-სა და Surya-ს მიეცა სპეციალური ნებართვა სოციალური, სამედიცინო და იურიდიული დახმარება გაუნიონ ტრეფიკინგის მსხვერპლებს და წარმოადგინონ ისინი სასამართლოში. დეკრეტში ისინი მოიხსენიებიან, როგორც სპეციალიზებული ცენტრები. 1994 წლის 7 ივლისს მიღებულ იქნა კიდევ ერთი ნორმატიული აქტი - ცირკულარი ადამიანთა ტრეფიკინგის მიგრანტ მსხვერპლთათვის საცხოვრებელი დოკუმენტებისა და მუშაობის ნებართვის გაცემის შესახებ (შემდეგში 1994 წლის ცირკულარი), რომლითაც ტრეფიკინგის მსხვერპლებს მიეცათ ბელგიის ტერიტორიაზე განსაზღვრული პირობე-

ბით კანონიერად დარჩენის უფლება. ცირკულარი ითვალისწინებს 45 დღიან მოსაფიქრებელ ვადას, რომელიც ეძლევა ტრეფიკინგის მსხვერპლს, რათა კანონიერად იმყოფებოდეს ქვეყნის ტერიტორიაზე. ასეთი ვადა ეძლევათ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი იმ გარემოსთან, რომელშიც იმყოფებოდნენ ტრეფიკინგის შედეგად და რომელთაც დახმარებას უწევს ზემოთაღნიშნული სამი სპეციალიზებული ცენტრიდან ერთ-ერთი. თუ პირთან გასაუბრების შედეგად ცენტრის თანამშრომლები მივლენ დასკვნამდე, რომ ის შესაძლებელია იყოს ტრეფიკინგის მსხვერპლი, ისინი ოფიციალურად მიმართავენ საიმიგრაციო სამსახურს, წარუდგენენ მას პიროვნებისა და მისი ისტორიის შესახებ ორგანიზაციისათვის ცნობილ ინფორმაციას და ადასტურებენ, რომ ცენტრი დახმარებას უწევს აღნიშნულ პირს. საიმიგრაციო სამსახური ვალდებულია ასეთი ინფორმაციის მიღებიდან 24 საათში გასცეს დოკუმენტი, რომელიც პირს აძლევს მოსაფიქრებელ ვადას. აღნიშნული დოკუმენტი პირს მუშაობის უფლებას არ აძლევს. მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში მსხვერპლმა უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა მას ტრეფიკინგში დამნაშავეთა წინააღმდეგ საჩივრის შეტანა. რადგანაც ეს დოკუმენტი არის ტერიტორიის დატოვების ბრძანება, მისი მიმღები ვალდებულია დატოვოს ქვეყნის ტერიტორია 45 დღეში, თუ იგი არ შეიტანს საჩივარს. გამონაკლის შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ნათესავების გაფრთხილების აუცილებლობა და სხვ. შესაძლებელია ამ ვადის გაგრძელება. თუ პირი შეიტანს საჩივარს პოლიციაში ან პროკურატურაში, საიმიგრაციო სამსახური მასზე გასცემს სამთვიანი ბინადრობის მოწმობას. აღნიშნული მოწმობის ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე საიმი-

გრაციო სამსახური უკავშირდება პროკურატურას, რათა მიიღოს ინფორმაცია საჩივარზე აღძრული საქმის მიმდინარეობის შესახებ. თუ პროკურატურა დაა დასტურებს, რომ ადგილი აქვს ტრეფიკინგის შემთხვევას და პირი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ტრეფიკინგის მსხვერპლად, საიმიგრაციო სამსახურს შეუძლია გასცეს მეორე სახის დოკუმენტი, ე.წ. BIVR (დროებითი დარჩენის ნებართვა). ზოგადად BIVR-ი გაიცემა ექვსი თვით, მაგრამ იგი შეიძლება კიდევ რამდენჯერმე გაგრძელდეს ექვს-თვიანი ინტერვალით, სანამ წინასწარი გამოძიება და საქმის სასამართლო განხილვა მთლიანად არ დამთავრდება. პირებს, რომელმაც გაცემულია სამთვიანი ან ექვსთვიანი ბინადრობის ნებართვა, ეძლევათ მუშაობის უფლება, მაგრამ ასეთი პირების დაქირავების უფლება დამქირავებელმა უნდა მიიღოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისაგან. სამთვიანი ბინადრობის ნებართვა ბელგიდან ევროკავშირის სხვა ქვეყნებში გამგზავრების საშუალებას არ იძლევა. ტრეფიკირებულ პირს, რომელმაც გაცემულია აღნიშნული ნებართვა, შეუძლია დატოვოს ბელგიის ტერიტორია, მაგრამ ამის შემდეგ ის ბელგიაში ვეღარ შემოვა, თუ არ დამტკიცდება, რომ ადგილი აქვს განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობას. სამთვიანი ბინადრობის უფლების მქონე პირები მუდმივად უნდა იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების განკარგულებაში. სხვაგვარად არის საქმე ექვსთვიან ბინადრობის უფლების მფლობელებთან დაკავშირებით. მათ შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ ევროკავშირის ქვეყნებში. ბინადრობის დოკუმენტების გაცემის პროცესი ბელგიაში საკმაოდ სწრაფი და ეფექტურია და არ ყოვნდება იმ პრობლემების გამო, რომლებიც შეინიშნება იტალიასა და ნიდერლანდებში. ეს არის შედეგი მჭიდრო თანამშრომლობის,

ნდობის, ინფორმაციის გაცვლის და ღია ურთიერთობებისა არასამთავრობო სპეციალიზებულ ცენტრებსა (რომელებიც ნებართვისათვის მიმართავენ) და იმიგრაციის სამსახურს Bureau Opsporingen-ს (რომელიც გასცემს ნებართვას) შორის. ჩვეულებრივ, ნებართვები გაიცემა მიმართვის დღესვე ან 24 საათის განმავლობაში. თუმცა ბინადრობის დოკუმენტების გაცემის ზოგიერთი პროცედურა პრაქტიკაში 1997 წლის ცირკულარისაგან საკმაოდ განსხვავებულად გამოიყენება. ცირკულარში მითითებულია, რომ სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან შესაძლო მსხვერპლს აცნობონ მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობის უფლების შესახებ, რაც პრაქტიკაში ცუდად სრულდება. მოსაფიქრებელი ვადა თითქმის არავის ეძლევა. პოლიცია ცდილობს დაუყოვნებლივ მოიპოვოს საჩივარი და მსხვერპლს არ აწვდის ინფორმაციას მოსაფიქრებელი პერიოდის არსებობის შესახებ. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსხვერპლის მიერ ბელგიის კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებების ცოდნას.

მუდმივი ბინადრობის უფლება

1994 წლის 7 ივნისის ცირკულარით გათვალისწინებული ბელგიის ტერიტორიაზე მუდმივი ბინადრობის უფლების მინიჭებაც. მუდმივი ბინადრობის უფლება ეძლევა ტრეთიკირებულ პირს, თუ მიჩნეულია, რომ მისმა საჩივარმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტრეთიკინგში დამნაშავეთა გამოვლენასა და მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემაში. თუ საჩივარს შედეგად მოსდევს ტრეთიკინგში დამნაშავეთა დასჯა, მუდმივი ბინადრობის უფლება

თითქმის ყოველთვის გაიცემა. ტრეფიკინგის მსხვერპლს ეს უფლება არ ეძღვა საქმის დასრულებამდე. თუ აღძრული საქმე დროებით შეჩერებულია და ტრეფიკინგის მსხვერპლი კანონით გათვალისწინებული ბინადრობის პროცედურის შესაბამისად ბელგის ტერიტორიაზე იმყოფება ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მას შეუძლია მუდმივი ბინადრობის უფლება ითხოვოს ჰუმანიტარული საფუძვლებით. ეს არის ე.წ. სტოპ-პროცედურა, რომელიც შეთანხმებული სპეციალიზებულ ცენტრებს, თანაბარი შესაძლებლობებისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრსა და Bureau Oposporingen-ს შორის. ამ პროცედურას არ ითვალისწინებს 1994 წლის ცირკულარი და არც ერთი სხვა წერილობითი დოკუმენტი. იგი ხორციელდება ზეპირი შეთანხმების შესაბამისად. მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განსახილველად სპეციალიზებულმა ცენტრმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ იმიგრაციის სამსახურს უნდა წარუდგინონ დეტალური ინფორმაციის მსხვერპლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრი წყვეტს მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხს ამ ინფორმაციაზე ისევე, როგორც შიდა ინფორმაციასა და საიმიგრაციო სამსახურის რჩევაზე დაყრდნობით. სტოპ-პროცედურის გარდა, სადაც მთავარ ყურადღებას ბელგიურ საზოგადოებაში მსხვერპლის ინტეგრაციის ხარისხს აქცევენ, ყველა შემთხვევაში მუდმივი ბინადრობის უფლების გაცემა დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის შედეგებზე. არ არსებობს ზუსტი მონაცემები რამდენ ადამიანზე გაიცა აღნიშნული ნებართვა. ცნობილია, რომ 2001 წელს Payok-ის მიერ წარდგენილი 199 მიმართვიდან დაკმაყოფილდა მხოლოდ 15.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა

COL12/99 დირექტივის პირობების თანახმად ყველა ღონისძიება უნდა გატარდეს, რათა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მსვლელობისას ტრეფიკირებული პირები დაცული იყვნენ დამნაშავეთა მხრიდან მუქარისა და ანგარიშსწორებისაგან. იმ პირებს, რომლებზეც გაცემულია სამთვიანი ან ექვსთვიანი დროებითი ბინადრობის ნებართვა შეუძლიათ თავიანთი 18 წლამდე შვილები ჩამოიყვანონ ბელგიაში საკუთარი ხარჯით. თუ ანგარიშსწორების საფრთხე განსაკუთრებით სერიოზულია, მსხვერპლი და მოწმე შეიძლება სხვა ადგილას გადაიყვანონ ბელგიის ტერიტორიის ფარგლებში. განსაკუთრებით რთულია ანგარიშსწორებისა-გან მსხვერპლის ოჯახის წევრების დაცვა, თუ ისინი წარმოშობის ქვეყანაში იმყოფებიან. ეს მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებლად ჩამოყალიბებული.

დაცვა სასამართლო პროცესის მსვლელობისას

ბელგიაში სისხლის სამართლის პროცესი ძირითადად აგებულია წერილობით პროცედურაზე, რომლის დროსაც მტკიცებულებები წერილობით მიიღება. აქედან გამომდინარე, მსხვერპლ მოწმეს იშვიათად უხდება სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ჩვენების მისაცემად. ეს ეხება ტრეფიკინგის საქმეებსაც. გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლეს შეუძლია გამოიძახოს მოწმე, თუ მის გამოცხადებას აუცილებლად ჩათვლის. სისხლის სამართლის საქმის

არსებითად გამოძიება მიმდინარეობს წინასწარი გამოძიების პერიოდში და სასამართლო გამოძიების ჩატარება აუცილებელი არ არის. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში Pauok-ის მიერ აღრიცხული 500 საქმიდან მხოლოდ ორ საქმეში მოუწიათ მოწმეებს სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

2002 წელს ბელგიამ მიიღო კანონი მოწმეთა ანონიმურობის შესახებ, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გასაიდუმლოვდეს მოწმის შესახებ არსებული პერსონალური (პირადი) ინფორმაციის ნაწილი (ნაწილობრივი ანონიმურობა) ან პერსონალური ინფორმაცია მთლიანად (სრული ანონიმურობა). რაც შეეხება ნაწილობრივ ანონიმურობას, პირის პერსონალური ინფორმაციის კანონით განსაზღვრული ნაწილის (მაგ., ასაკი, სახელი, პროფესია, მისამართი) გასაიდუმლოების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია გამომძიებელ მოსამართლეს (examining magistrate) ან მოსამართლეს (fundamental magistrate). თუმცა, ასეთ შემთხვევებში მოწმეს მაინც ევალება გამოცხადდეს საქმის სასამართლო განხილვაზე, სადაც იგი აღმოჩნდება დაცვის მხარის პირისპირ. აღნიშნული სისტემა განსაკუთრებით ეფექტურია „შემთხვევითი მოწმეებთან“ მიმართებაში, რომლებსაც არ იცნობს ბრალდებული და მისი წრე, მაგრამ რომელთაც მაინც აქვთ ანგარიშსწორების შიში. ნაწილობრივი ანონიმურობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობები ნაკლებად მკაცრია ვიდრე სრული ანონიმურობისას. აქ საჭიროა მხოლოდ გონივრული ვარაუდი, რომ ამ დეტალების გამულავნებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მოწმეს ან მის ახლობელს. გამომძიებელი მოსამართლის გადაწყვეტილება ნაწილობრივი ანონიმურობის შესახებ სასამართლოსათვის სავალდებულოა. ეს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. გარდა ამისა, კრიმინალური

გამოძიების დეპარტამენტის აგენტები და თანამშრომელი პოლიციელები, რომლებიც საქმეში მოწმეებად გამოდიან, ვალდებული არ არიან დაასახელონ თავიანთი სახლის მისა-მართი. საკმარისია სამსახურის მისამართის მითითება. იმ მსხვერპლებთან დაკავშირებით, რომელთა ვინაობაც ცნო-ბილია ბრალდებულის ან მისი წრისათვის უფრო ეფექტუ-რია სრული ანონიმურობის პრინციპის გამოყენება. სრული ანონიმურობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამომძიე-ბელი მოსამართლე გამონაკლის შემთხვევებში, როცა ნაწი-ლობრივი ანონიმურობა არასაკმარისია და მოწმეს ან მის ახლობელს მიაჩნია, რომ მის უსაფრთხოებას სერიოზული საშიშროება ემუქრება. მოწმემ ნათლად უნდა აჩვენოს, რომ მას არ უნდა ჩვენების მიცემა, სწორედ ამგვარი მუქარის გამო. ეს არის სუბიექტური კრიტერიუმი და იგი განსხ-ვავდება ობიექტურისაგან, რომელიც ფართოდ გამოიყენება პოლიციელ თა მიმართ. გამომძიებელ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მოწმის პიროვნების შესახებ სრული ინფორმაცია, რათა შეაფასოს მისი საიმედოობა და სანდოობა. სრული ანონიმურობა ენიჭებათ მხოლოდ განსაკუთრებული დანა-შაულის მოწმეებს. ამიტომ ის არ გამოიყენება ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაულის შემთხვევაში, რომელსაც არა აქვს „რეგულარული“ ხასიათი ან არ არის ჩადენილი ორ-განიზებული ჯგუფის მიერ. გამომძიებელმა მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილება ანონიმურობის შესახებ უნდა მი-იღოს პროპორციულობისა და სუბსიდიარობის პრინციპე-ბის საფუძველზე. ანონიმური ჩვენება შეიძლება გამოყენ-ებულ იქნეს მხოლოდ სხვა მტკაცებულებებთან ერთად. უკანასკნელ ხანებში მიღებულ იქნა დაშინებულ მოწმეთა დაცვის კანონი. ეს კანონი შესაძლებლობას აძლევს მოწ-მეთა დაცვის კომიტეტს სუბსიდიარობისა და პროპორციუ-

ლობის პრინციპის საფუძველზე, კანონით განსაზღვრული ჩვეულებრივი და განსაკუთრებული დაცვის ზომებით უზრუნველყოს დაშინებული მოწმე და მისი ოჯახის წევრები ან ნათესავები, თუ მათ საფრთხე ემუქრებათ იმ განცხადებების გამო, რომლებიც მოწმემ გააკეთა ან უნდა გააკეთოს. კომიტეტმა შესაძლოა ასევე ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს მოწმეს, რომლის მიმართაც გამოიყენება სპეციალური დაცვის ღონისძიებები. უკანასკნელ ხანებში მოწყობილ იქნა აგრეთვე, რამდენიმე ვიდეო-კონფერენცია იმ მოწმეებისათვის, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდნენ.

უფლება ინფორმაციაზე სასამართლო პროცესის მსვლელობისას

ტრეფიკირებულ პირებს, რომლებიც მონაწილეობენ სასამართლო პროცესში დაზარალებულის სტატუსით, უფლება აქვს ისარგებლონ კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების უფლებით სასამართლო პროცესის მსვლელობისას. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28.1 მუხლის მიხედვით დაზარალებულს უნდა ეცნობოს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და მისი მიზეზების შესახებ.

ადვოკატის უფლება სისხლის სამართლის პროცესში

ბელგიის კანონმდებლობით დაზარალებულს უფლება აქვს ჰყავდეს ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში. ტრეფიკინგის მსხვერპლებს ასეთ დახმარებას ძირითა-

დად უწევენ სპეციალიზებული ცენტრები. ადვოკატს ხელი მიუწვდება პროკურატურის მასალებზე, მაგრამ არა აქვს უფლება დაესწროს დაკითხვას პოლიციაში ან სასამართლო განხილვას სასამართლო გამოძიებისას პოლიციის ან მოსა-მართლის ნებართვის გარეშე.

სხვა სახის დახმარება (თავშესაფარი, განათლება, მუშაობის უფლება)

მას შემდეგ, რაც ტრეფიკირებული პირი მიიღებს ბელგიის ტერიტორიაზე კანონიერად დარჩენის უფლებას (მოსაფიქრებელი ვადის ჩათვლით), მას შეუძლია ისარგე-ბლოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მომსახურე-ბით, როგორიცაა საცხოვრებლით (თავშესაფრით ან ბინით) უზრუნველყოფა, განათლება, ფინანსური დახმარება და სამედიცინო მომსახურება. თუმცა პრაქტიკაში ეს უფლე-ბები საკმაოდ ძნელი განსახორციელებელია. არსებობს მხ-ოლოდ სამი სპეციალიზებული ცენტრი ბელგიის მთელ ტერ-იტორიაზე, რომელთა განკარგულებაში არსებული ფართი ხშირად მთლიანად დაკავებულია. ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ პოლიცია ხშირად არ აწვდის ინფორმაციას ტრე-ფიკირებულ პირებს მოსაფიქრებელი ვადის უფლების შეს-ახებ. სამთვიანი „ჩამოსვლის დეკლარაციისა“ და ექვსთვიანი „დროებითი ბინადრობის უფლების“ მფლობელებს ეძლევათ მუშაობის უფლება. თუმცა მათი დამქირავებელი ვალდე-ბულია ამისათვის სპეციალური ნებართვა აიღოს, რომლის მოპოვებას თითქმის ერთი თვე სჭირდება და რომელიც ძალაშია მხოლოდ ბინადრობის ნებართვით დაწესებული

ვადის განმავლობაში. როცა ბინადრობის ნებართვა განახლდება, უნდა განახლდეს დამქირავებლის უფლებაც დაიქირავოს ტრეფიკირებული პირი. ასეთი გართულებული პროცედურა კი დამქირავებელს ტრეფიკირებულ პირთა დაქირავების სურვილს უკარგავს. ამას ემატება ისიც, რომ სამუშაო ნებართვა გაიცემა მხოლოდ კონკრეტული დამქირავებლის სახელზე. ყოველივე ზემოხსენებული უზომოდ ართულებს ტრეფიკირებულ პირთათვის სამუშაოს მოძებნის შესაძლებლობას, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ მათ ხელი თითქმის არ მიუწვდებათ ადგილობრივ შრომის ბირჟებზე ენის უცოდინარობისა და სპეციალური სამუშაო კვალიფიკაციის უქონლობის გამო. 2001 წელს ბელგიის ერთ-ერთ რეგიონში, სადაც Payok-ი საქმიანობს გაიცა მხოლოდ 31 სამუშაო ნებართვა, მაშინ როცა Payok-ი ამავე პერიოდში დახმარებას უწევდა 500-მდე ტრეფიკირებულ პირს. 2002 წლის 19 ივლისს მინისტრთა საბჭომ დამტკიცა უცხოელთა დაქირავების შესახებ შრომის სამინისტროს მიერ შეთავაზებული სარეფორმო ღონისძიებები. მათი მიზანია გაამარტივონ მუშაობის ნებართვის გაცემის პროცედურა და გააუმჯობესონ ბელგიის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი უცხოელებისათვის შრომის ბირჟაზე მისაწვდომობა. ახალი წესების მიხედვით ტრეფიკირებულ პირებს, რომლებიც ფლობენ „ჩამოსვლის დეკლარაციას“ ან „დროებითი ბინადრობის ნებართვას“ მიეცემათ სამუშაო ნებართვა „C“, რომელიც ძალაშია ერთი წლის განმავლობაში და მისი მოქმედების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს. ის არ არის დაკავშირებული რომელიმე კონკრეტულ დამქირავებელთან და ეძლევა თვით ტრეფიკირებულ პირს და არა მის დამქირავებელს.

მიყენებული ზიანის ანაზღაურება/კომპენსაცია

ტრეფიკირებულ პირს, როგორც დაზარალებულ მხარეს, შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სარჩელის წარდგენით სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ან მისგან დამოუკიდებლად, სამოქალაქო წესით. ბელგიის სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი კომპენსაციის ოდენობა მერყეობს 650-დან 17.500 ევროს შორის მიყენებული ზიანის სახისა და სიმძიმიდან გამომდინარე. მაგრამ მთავარი პრობლემა დაკავშირებულია სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან, რადგან ტრეფიკინგში დამნაშავენი ხშირად თავს გადახდისუუნაროდ (გაკოტრებულებად) აცხადებენ. მათთვის ჩამორთმეული ქონება მიღის სახელმწიფო ხაზინაში. არ არსებობს რაიმე სპეციალური ნორმა, რომელიც დაადგენდა აღნიშნული ქონების გამოყენების ვალდებულებას ტრეფიკირებულ პირთათვის კომპენსაციის გადასახდელად და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ეს ქონება, როგორც წესი, სახელმწიფოს გადაეცემა. თუმცა უკანასკნელ ხანებში სასამართლოების მიერ გამოტანილი იქნა რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლითაც კონპენსაციის გადახდა გათვალისწინებულია ჩამორთმეული ქონებიდან.

დასკვნა

მათთვის, ვინც ტრეფიკინგის მსხვერპლად მიიჩნევა და თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან, ბელგიური სისტემა კარგად მუშაობს, განსაკუთრებით ბინად-

რობის მოწმობების გაცემისა და სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენის ნაწილში. ის ეხმარება ტრეფიკირებულ პირებს რეაბილიტაციაში, სამუშაოს მოძებნასა და საზოგადოებასთან ინტეგრირებაში. თუმცა რჩება უამრავი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ტრეფიკინგისა და საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის დანაშაულების აღრევასთან, ტრეფიკირებული პირების გამოვლენისა და დასჯისათვის პრიორიტეტის მინიჭებასთან და სხვ. რაც მომავალში მსხვერპლთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით შემდგომ ცვლილებებს მოითხოვს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

ადამიანთა ტრეფიკინგის სფეროში საქართველოს სპეციალური კანონი დღემდე არ გააჩნია. 2003 წლის 6 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები, კერძოდ, კოდექსს დაემატა 143¹ და 143² მუხლები, რომლებითაც მოხდა ზოგადად, ადამიანთა ტრეფიკინგისა და კერძოდ, ბავშვთა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის თანახმად:

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ესქპლუატაციის მიზნით.

დანაშაულის მიზანი ისევე, როგორც პალერმოს ოქმის

დეფინიციაში, აქაც არის - ადამიანის ექსპლუატაცია. თუმცა ტერმინი „ექსპლუატაცია“ ოქმისაგან განსხვავებულად არის განმარტებული, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ადამიანის ექსპლუატაცია ნიშნავს:

ადამიანის გამოყენებას იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების, აგრეთვე ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარი გამოყენების მიზნით.

როგორც ვხედავთ, ექსპლუატაციის ქართულ დეფინიციაში გამოტოვებულია ისეთი დანაშაულები, როგორიცაა მონობის მსგავსი მდგომარეობა და სერვიტუტი. ხოლო მონობის კლასიკური დეფინიციის ნაცვლად შემოტანილია ტერმინი „მონობის თანამედროვე პირობები“, რომელიც გულისხმობა:

[ადამიანისათვის] პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.

ადამიანების ტრეფიკინგის მუხლში მოცემული დანაშაულებრივი ქმედებები ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილს მიკუთვნებული ქმედებების ჩამოთვლისას კანონმდებელი არ მიუთითებს მათი ჩადენის საშუალებებზე (იძულება,

შანტაჟი, ძალადობა) და უბრალოდ, აღნიშნავს, რომ დანა-შაულად ითვლება ადამიანის ყიდვა, გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება.

იძულება, შანტაჟი და ძალადობა, როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალებები, მიემართება მხოლოდ მეორე ნაწილს მიკუთვნებული ქმედებების ჩამონათვალს, კერძოდ, ადამი-ანების გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას ან მიღებას.

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-სის თანახმად, ადამიანების ტრეფიკინგი შეიძლება განხორ-ციელდეს:

- * იძულებით,
- * შანტაჟით, ან
- * მოტყუებით.

ამას გარდა, აღნიშნული საშუალებების ჩამონათვალს ემატება ტრეფიკინგის დანაშაულის დამამძიმებელ გარე-მოებებში მითითებული ისეთი საშუალებები, როგორიცაა:

- * სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება,
- * სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა;
- * ადამიანის უმწეო მდგომარეობის ან დამნაშავეზე მისი მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენება.

სისხლის სამართლის კოდექსის იმავე მუხლის მიხედ-ვით ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებებია, ქმედების ჩადენა:

- ა) არაერთგზის;
- ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

გ) დამნაშავისათვის წინასწარ შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ე) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

ვ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

ზ) წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანსხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.

აგრეთვე, დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან თუ მან გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ქართულ დეფინიციაში მითითებული ქმედებებს: ადამიანის ყიდვა, გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, - პალერმოს ოქმის დეფინიცია არ შეიცავს. სანაცვლოდ, ოქმის დეფინიცია აღნიშნული ქმედებების გამოხატვას ამჯობინებს სხვაგვარი ფორმულირებით, კერძოდ, საშუალებათა ჩამონათვალში იგი შეიცავს ფორმულირებას „საფასურის მიცემით ან მიღებით იმ პირისაგან, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე“, რაც შინაარსობრივად იგივეა, რაც ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა.

ტრეფიკინგის ქართულმა დეფინიციამ გაიმეორა პალერმოს ოქმის დეფინიციის ის ნაკლოვანებები, რომლებიც უკვე იყო მოხსენიებული, კერძოდ, მასში შევიდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „პროსტიტუციაში ჩაბმა“ და „სექსუალური ექსპლუატაცია“, რომლებიც არც საერთაშორისო სამართლით და არც ქვეყნის შიდა კანონმდებლობით არ არის განმარტებული. დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ადა-

მიანების ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახეა თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან თორმეტ წლამდე. ტრეფიკინგის ჩადენა: არაერთგზის; ორი ან მეტი პირის მიმართ; დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე. ხოლო აღნიშნული დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან თუ მან გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე. ბავშვების ტრეფიკინგი დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე. სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლი, რომელიც აღნიშნულ დანაშაულს ეხება შეიცავს ტრეფიკინგის დამამძიმებელი გარემოებების ისეთივე ჩამონათვალს, რომელიც მოცემულია ადამიანების ტრეფიკინგის მუხლში. ამიტომ მათზე დაწვრილებით არ შევჩერდებით. რაც შეეხება სანქციებს, ისინი ადამიანების ტრეფიკინგის მუხლთან შედარებით უფრო მძიმეა და ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებების პირველი ჯგუფიდან რომელიმეს არსებობის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთას თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, ხოლო მეორე ჯგუფს მიკუთვნებული გარემოებების არსებობისას თავისუფლების აღკვეთას თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადოდ. მიუხე-

დავად იმისა, რომ ადამიანების ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზაცია მოხდა, ქართული კანონმდებლობა ამ სფეროში ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისაგან. იმისათვის, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტური სამართლებრივი ბაზა შეიქნას, საჭიროა ერთიანი, ყოვლისმომცველი კანონის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, სახელმწიფო ორგანოთა, საზოგადოებრივ გაერთიანებათა და თანამდებობის პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს ადამიანების ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობასა და მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. ასეთ კანონპროექტს უკვე ამზადებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, აგრეთვე ყველა იმ სახელმწიფო დაწესებულებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით, რომლებსაც შემხებლობა აქვთ აღნიშნულ სფეროსთან. კანონპროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადამიანის უფლებების დაცვას და მოახდენს აღნიშნულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას გაერთიანებული ერების ოქმთან და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

ტერმინი „იძულებითი შრომა“ განმარტებულია იძულებითი შრომის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №29 კონვენციის 2.1 მუხლით. ტერმინი „მონობა“

განმარტებულია გაერთიანებული ერების მონობის შესახებ კონვენციის 1.1 მუხლით. ტერმინი „მონობის მსგავსი მდგომარეობა“ განმარტებულია მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი მდგომარეობისა და პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების დამატებით კონვენციის პირველი მუხლით. ტერმინი „სერვიტუტი“ საერთაშორისო სამართალში პირდაპირ განმარტებული არ არის, მაგრამ იგი მოიცავს მონობის მსგავსი მდგომარეობის მრავალ ელემენტს და შესაბამისად განიმარტება. ტერმინი „ორგანოთა გადაწერგვა“ ოქმის მიზნებისათვის გულისხმობს აღნიშნული მიზნით ადამიანების, და არა ორგანოთა, ტრანსპორტირებას. ქალის მიმართ ძალადობის საკითხებზე გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში ადამიანთა ტრეფიკინგი განმარტებულია, როგორც: „ადამიანთა გადაბირება, გადაყვანა, ყიდვა, გაყიდვა, გადაცემა, გადამალვა ან მიღება: (1) ძალის გამოყენებით ან გამოყენების მუქარით, მოტაცებით, იძულებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალადობით (ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ჩათვლით) ან სავალო კაბალით, (2) ამ პირის ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე იძულებითი შრომის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით, იმ გარემოში, სადაც აღნიშნული პირი მუდმივად არ ცხოვრობდა მოცემული დანაშაულის ჩადენის დროისათვის“, სავალო კაბალა მონობის მსგავსი მდგომარეობის სახეა და გულისხმობს პირის სტატუსს ან მდგომარეობას, რომელიც აღმოცენდება მოვალის მიერ ვალის უზრუნველყოფის საშუალებად საკუთარი ან მის დამოკიდებულებაში მყოფი პირის მომსახურების გამოყენებით, თუკი ამ მომსახურების ღირებულება, გონივრული შეფასებით, შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ვალის აღმოსაფხ-

ვრელად ან ასეთი მომსახურების ხანგრძლივობა ან ბუნება არ არის სათანადოდ განსაზღვრული და შეზღუდული. წარმოშობის ქვეყანა არის ქვეყანა, რომლის მოქალაქეც არის ტრეფიკინგის მსხვერპლი ან რომელშიც იგი მუდმივად ცხოვრობდა დანიშნულების სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის მომენტისთვის. ეს წესი არ ეხება მძიმე დანაშაულებს, როგორიცაა, მაგალითად, მკვლელობა ან სახელმწიფო ღალატი, რომელსაც ნაფიცი მსაჯულები იხილავენ და რომელიც ტარდება სრული სასამართლო გამოძიების წესების დაცვით. ასეთ პროცესზე მოწმე და დაზარალებული ვალდებულნი არიან სასამართლო სხდომაზე მისცენ ჩვენება.

სად არის გამოსავალი ?!

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) გლობალური ფენომენია, რომელმაც განსაკუთრებით მოიცვა ის ქვეყნები, რომლებიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად გარდამავალ პერიოდში ან პოსტკონფლიქტურ სტრუსულ სიტუაციაში იმყოფებიან. ძირითადად, სწორედ ეს ქვეყნები წარმოშობს ტრეფიკინგს. მაგრამ ეს ეხება შედარებით ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებსაც, როგორც დანიშნულების პუნქტს ან როგორც სატრანზიტო ადგილს. გაჭირვებულ ადამიანებს იზიდავს ცხოვრების გაუმჯობესების პერსპექტივა მდიდარ ქვეყნებში ამ ქვეყნების ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში და ფორმალურ, მაგრამ დაბალანაზღაურებად სექტორშიც მზარდი მოთხოვნაა იაფ მუშახელზე. საქართველო მიმწოდებელიცაა და ტრანზიტული ქვეყანაც ქალების, ბავშვებისა და მამაკაცების ტრეფიკინგის

თვალსაზრისით. ეს მოიცავს სექსუალურ ექსპლუატაციასა და იძულებით შრომასაც. ქალები და გოგონები უკრაინიდან, მოლდოვეთიდან, რუსეთიდან და სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველოს გავლით მიდიან თურქეთში, საბერძნეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მამაკაცები, უფრო მეტად, იძულებითი შრომის ტრეფიკინგის მსხვერპლი არიან. ქართველ მსხვერპლთა უმეტესობა მოდის თურქეთზე. ამას ხელს უწყობს უვიზო რეჟიმიც ამ ორ ქვეყანას შორის. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, უმეტესწილად, ადამიანებით ვაჭრობა იძულებითი შრომის ხაზით ხდება. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ყველა დაინტერესებული (მონაწილე) მხარის კოორდინირებულ მუშაობასა და ურთიერთთანამშრომლობაზე. სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის ოფისი, სამინისტროები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები ჩართული არიან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებში. 2006 წლიდან მოყოლებული, სხვადასხვა კანონი და ბრძანება იქნა მიღებული. საქართველო ცდილობს გააუმჯობესოს სიტუაცია ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით. პირველ რიგში, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, შეიქმნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. 2006 წელს რატიფიცირებულ იქნა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების,

აღკვეთისა და დასჯის შესახებ და ასევე რატიფიცირებულ იქნა ვარშავის ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. ასევე არსებობს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭო. მთავრობამ ჩატარა სახელმწიფო მოხელეების, უურნალისტებისა და მასწავლებლების, ცხელი ხაზის ოპერატორების ტრენინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტრეფიკინგთან დაკავშირებული ზარებზე პასუხი. მას-მედიის საშუალებით ჩატარდა საზოგადოების ინფორმირების კამპანია და ინტერაქტიული შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან. 2006 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ დაიბეჭდა და გავრცელდა 200 ათასი ანტიტრეფიკინგული ბროშურა საქართველოს ძირითად საპორტო შესასვლელებში. 2007 წელს მიღებულ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესები. 2007 წელს საქართველოში მიღებულ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007- 2008 წლების სამოქმედო გეგმა.

ამ მომენტისათვის საქართველოს მთავრობა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტებს. საქართველო ამჟამად იმყოფება პირველ კატეგორიაში (2007 წლის ანგარიში, ტრეფიკინგი ადამიანებში). ეს ანგარიში, ამერიკის კონგრესის მიერ არის შედგენილი. მასში საქართველო პირველად დასახელებულია პირველი კატეგორიის ქვეყნებს შორის, რომლებიც კარგად აკონტროლებენ ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), ასამართლებენ ტრეფიკინგში ჩართულ პირებს, ეხმარებიან და იცავენ ტრეფიკინგის მსხვერპლებს. საქართველოს

მთავრობამ 2006 წელს გამოიძია 28 შემთხვევა, 2005 წელს გამოძიებულ იყო 27 შემთხვევა. აღძრულ იქნა საქმე 16 შემთხვევაში, 2005 წელს - 9 შემთხვევაში. 2006 წელს დააკავეს 19 პირი, 2005 წელს - 9. მთავრობამ გაამკაცრა ტრეფიკინგში ჩართულთა მიმართ სამართალნარმოება 2006 წელს. ადამიანით მოვაჭრებს მიესაჯათ 4-იდან 15 წლამდე. საქართველოს სახალხო დამცელის 2006 წლის ანგარიშის მიხედვით, სოციალური, ეკონომიკური და სხვა მდგომარეობები საქართველოში იწვევს ტრეფიკინგს. სილარიბე აიძულებს ახალგაზრდებს, საზღვარგარეთ ექცემნ ცხოვრების პირობები. სამწუხაროდ, ამ მიგრაციების უმრავლესობა არალეგალურია და მრავალი ახალგაზრდა ქართველი ქალი ხდება მოტყუებისა და მონობის მსხვერპლი. ეს არ კონტროლდება და არ რეგულირდება არც ერთი სახელმწიფოთ-შორისი შეთანხმებით, სამართლებრივი აქტითა და მოქმდების პროგრამით.

პოლიტიკის ალტერნატივები

პოლიტიკის ალტერნატივები შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს; კვლევა აჩვენებს, რომ სახელმწიფო რესურსების გამოყენების მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად ანტიტრეფიკინგულ საქმიანობაში პოლიტიკის მთავარი ალტერნატივაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის საფუძველზე პოლონეთის გამოცდილებისა და პოლონელი ექსპერტების რეკომენდაციების გამოყენებით ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შემდგომი განვითარება.

საქართველოს ქმედებების შეფასება

საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნი ნაბიჯები გადადგა დაზარალებულთა დასაცავად. მთავრობამ შექმნა და დააფუძნა მსხვერპლთა გადაცემისა და დახმარების ნაციონალური მექანიზმი, რამაც უნდა უზრუნველყოს ურთიერთთანამშრომლობა სახელმწიფო სააგენტოებსა და არასამთავრობოებს შორის იდენტიფიცირების ფაზიდან დაწყებული რეპატრიაციით ან რეაბილიტაციით დამთავრებული. დეტალური ლონისძიებები მოცემულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმაში. ამასთან ერთად, გეგმის ჩაღრმავებით შესწავლამ აჩვენა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამებში სტრატეგიები ადეკვატური არაა. საქართველოში მაღალია სიღარიბის, უმუშევრობის, საზოგადოებრივი და ოჯახური ძალადობის დონე, დაბალია გასამართლების რისკი, ადამიანებით ვაჭრობას მოაქვს უზარმაზარი მოგება, განვითარებულია ტრანსპორტირების ისეთი ინფრასტუქტურა, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლთა შეუმჩნევლად გადაადგილების სამუალებას იძლევა. ადამიანებით ვაჭრობის შეზღუდვის სტრატეგია უნდა მოიცავდეს არალეგალური მიგრაციის შემცირების პოლიტიკას, სახელმწიფო პროგრამების (საგანმანათლებლო, დასაქმების, სიღარიბის დაძლევის) ეფექტიანობის ზრდას. საქართველოს უკიზო რეჟიმი აქვს თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან და სხვა დსტ-ის ქვეყნებთან, რაც აადვილებს არალეგალურ მიგრაციას. ტრეფიკინგის რისკ-ჯგუფის იდენტიფიკაცია გართულებულია. ძალიან დიდი პრობლემაა ისიც, რომ

ქართველების უმრავლესობა არალეგალურად იმყოფება საბერძნეთში, თურქეთში, უკრაინასა და რუსეთში. ამიტომ, აუცილებელია შემუშავდეს რისკ-ჯგუფების საინდენტიფიკაციო კრიტერიუმები და მათ საფუძველზე განხორციელდეს სოციალური დაცვისა და დასაქმების პროგრამები აღნიშნული ჯგუფებისათვის. ეს უნდა დაემატოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმას. ასევე, აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, პროფესიული გადამზადების სისტემის შემუშავება (რისკ-ჯგუფებზე ფოკუსირებული) მომავალი დასაქმების პერსპექტივით. უნდა აღნიშნოს, რომ ტრეფიკინგის საწინააღმდეგო აქტივობები დაყოფილია სოციალური ინტერვენციის ღონისძიებათა სამნაილად. ამჟამად ამ სფეროში კეთდება შემდეგი: ტარდება პრევენციული ღონისძიებები, მსხვერპლთ ეწევათ დახმარება, ხდება მათი ჩართვა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში როგორც მათი წარმომავლობის, ისე საბოლოო დანიშნულების ქვეყნებში ან ორივეგან. გარდა ამისა, ხელი ეწყობა მათ პროფესიულ განვითარებასაც. სოციალური ინტეგრაციის სერვისები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ოპტიმალურად ხელმისაწვდომი იყოს სამიზნე ჯგუფისათვის. წარმატებული რეინტეგრაციის მოდელი უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ასპექტებს: სოციალური და სამედიცინო სერვისების ზრდას და მათზე ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომობას. სისტემის კარგად გააზრებული ხედვა და წარმოჩენა ხელს შეუწყობს დაბანდებული კაპიტალის ეფექტიან გამოყენებასა და ხარჯების განკარგვას ამ სფეროში. ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეალური რაოდენობის შემცირება მოგვცემს საშუალებას, გავზომოთ გამოყენებული რესურსების შედეგი.

პოლონეთის გამოცდილების მიმოხილვა

ტრეფიკინგთან ბრძოლის ღონისძიებების განვითარება უნდა გაგრძელდეს პოლონეთის გამოცდილებისა და პოლონელი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე. ძალიან მნიშვნელოვანია პოლონეთის გამოცდილების გამოყენება 2005-2006 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის რეალიზაციის საფუძველზე. აქ შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელიც მხარდაჭერასა და დაცულობას სთავაზობდა არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა სერვის-მომწოდებლების საშუალებით. ეს პროგრამა (გათვლილი ერთ წელზე 2006 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე) დანერგა La Strada Foundation-მა პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2007 წლის ანგარიშის საფუძველზე, პოლონეთის მთავრობა აგრძელებდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა შემწეობას. გაიზარდა მსხვერპლთა მხარდაჭერის დაფინანსება, აგრეთვე დაფინანსება მათი გადაცემის მექანიზმის დასაწერგად. ეს მექანიზმი გულისხმობს პოლიციას, სასაზღვრო დაცვასა და მსხვერპლთა დაცვის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის მართვას. უკვე ერთხელ იდენტიფიცირებულ მსხვერპლთ ჩვეულებრივ გადასცემდნენ მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენის უახლოეს პუნქტს. პოლონეთის მთავრობამ კიდევ უფრო ინტენსიური გახადა ტრეფიკინგის პრევენციაზე მიმართული თავისი ძალისხმევანი. ამ პროგრამის სუსტი მომენტებია:

1. რაოდენობა: სერვისები ხელმისაწვდომია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მსხვერპლისთვის; ტიპი: სერვისები არის მხოლოდ მათთვის, ვინც თანახმაა თანამშრომლობა-

ზე; კატეგორია: სერვისები შეიძლება მიეწოდოთ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებიდან (თანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე) და შეიძლება მიეწოდოთ იმ პირებს, ვინც იდენტიფიცირებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და იღებს დახმარებას ამ უკანასკნელთაგან. ამის გათვალისწინება აუცილებელია, როცა პროგრამას ვაფასებთ.

2. ძალიან მნიშვნელოვანია სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში, ეკონომიკური აქტივობა, მთავრობის გადაწყვეტილება და სათანადო რესურსები (არამარტო ფინანსური, არამედ ადამიანურიც) იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს ყველა ზემოთ დასმულ კითხვას.

პოლონური გამოცდილების გადმოტანა

პოლონეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველ ეტაპზე საქართველოში უნდა შემუშავდეს კომპლექსური პრევენციული პროგრამა. მთავრობის მხრიდან ჩატარდა ტრენინგები უურნალისტებისათვის, სახელმწიფო მოხელეებისათვის, მას-მედიის საშუალებით წარიმართა საზოგადოების ინფორმირების კამპანია, დაიბეჭდა და გავრცელდა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ბროშურები საქართველოს ძირითად საპორტო შესასვლელებში, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. საჭიროა, მთავრობამ დააფინანსოს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მოაწყობენ შეხვედრებს ობოლთა თავშესაფრებსა და ბავშვთა ცენტრებში, განმარტავენ, რა არის ტრეფიკინგი და რა საფრთხეს შეიცავს ის, როგორც ეს გაკეთდა პოლონეთში. არალეგალური მიგრაციის საკითხი მეტად მწვავეა. გრძელდება

არალეგალური გადასვლა მეზობელ ქვეყნებში, რაც ზრდის ადამიანით ვაჭრობის რისკ-ჯგუფებს. სპეციალური უურა-დღება უნდა მიექცეს ტურისტული ჯგუფების კონტროლს, ვინაიდან უამრავი ტურისტული ჯგუფის მონაწილე ტოვებს საქართველოს, მიდის სხვადასხვა ქვეყანაში და უკან აღარ ბრუნდება. არავინ აკონტროლებს და იკვლევს ასეთ შემთხვევებს. ტურისტ ქალთა დიდი ნაწილი უკან აღარ ბრუნდება. პოლონეთის მსგავსად, აქაც კარგი იქნებოდა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ბროშურების გამოცემა და გავრცელება როგორც ქართველ მგზავრებს შორის, რომლებიც უცხოეთში მიდიან სამუშაოდ, ისე უცხოელ ქალებში, რომ-ლებიც სხვა ქვეყანაში მიემგზავრებიან სამუშაოდ. პოლონეთის გამოცდილების კვალდაკვალ, საქართველომ მეზობელი ქვეყნების საზღვრებზე უნდა აწარმოოს ახსნა-განმარტებითი კამპანია.

შეიძლება თუ არა ეს პოლიტიკა განხორციელდეს არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ადმინისტრაციულ კონტექსტში? გვყავს თუ არა სათანადო კადრები? შეიძლება თუ არა ეს განხორციელდეს ერთდროულად?

საქართველო განვითარების მოცემულ ეტაპზე, კერძოდ, გარდამავალ პერიოდში, ვერ მოახერხებს სრულად დანერგოს მთელი პოლიტიკა. ამიტომ პრობლემები უნდა დალაგდეს მოკლევადიან და საშუალოვადიან პრობლემებად. იმისათვის, რომ ეფექტურად გატარდეს პოლიტიკური გადაწყვეტილება, ჩვენი რჩევა იქნებოდა, ბუნდოვანი დებულებების კონკრეტულ ქმედებებში გადატანა. მაგალითად: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შეიძლება შემცირდეს, თუ განვახორციელებთ სიღარიბის დაძლევის პროგრამას. ამასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს საზღვრის კონტროლს, ტურისტული ინფრასტრუქტურის კონტროლსა

და დასაქმების პროგრამების შემუშავებას. აუცილებელია რამდენიმე ცვლილებისა და დამატების შეტანა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმაში. როდესაც ვცდილობთ გავაკეთოთ პოლიტიკის არჩევანი საქართველოსათვის, შემდეგი საკითხები უნდა გვქონდეს მხედველობაში:

1. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ერთობ რთული და კომპლექსური პრობლემაა, რომელიც იცვლის თავის სახესა და ფორმას სამართლებრივი და გეოპოლიტიკური სიტუაციის მიხედვით. ამ კონტექსტში კარგი პრაქტიკული მაგალითების მიხედვით რეგულარულად უნდა ხდებოდეს დასახულ ამოცანებში კორექტივების შეტანა, ხოლო მიზნებში უნდა აისახებდეს მოცემული ფენომენის ნიმუშებისა და ფორმების ცვლილებები.
2. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ერთი და იმავე ქვეყნის შიგნითაც კი სხვადასხვა სოციალური სერვისი პრობლემას სხვადასხვანაირად წყვეტს.
3. მიღებული გამოცდილების გამოყენებით თანდათან გაუმჯობესდება ტრეფიკინგის საწინააღმდეგო კანონები და ღონისძიებები.
4. სოციალური რეინტეგრაცია და დაზარალებულთა რეაბილიტაცია შეამცირებს ადამიანებზე ტრეფიკინგის მძიმე ზემოქმედებას (არამარტო ტრეფიკინგის მსხვერპლებზე, არამედ მათ ნათესავებსა და მეზობლებზეც).
5. გაიზრდება სამიზნე ჯგუფებისათვის სოციალურ და სამედიცინო დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. აუცილებელია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სტრატეგიისა და პოლიტიკის განვითარება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის საფუძველზე და ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების გაუმჯობესება.

2. მთავრობამ მნიშველოვან პროგრესს მიაღწია მსხვერპლთა დაცვის მხრივ ბოლო წლებში (2006-2007). ამ მომენტისათვის საქართველოს მთავრობა სრულად შეესაბამება ტრეფიკინგის აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტებს. 2006 წლიდან 2007 წლის ჩათვლით რამდენიმე კანონი და დადგენილება (ბრძანება) იქნა მიღებული და საქართველომ მნიშვნელოვანად გაააქტიურა ქვეყანაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა.

3. მიუხედვად იმისა, რომ საქართველომ გააუმჯობესა ტრეფიკინგის წინააღმდეგ კანონმდებლობა, კვლავ რჩება ამ სფეროში მთელი რიგი პრობლემებისა, განსაკუთრებით, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებით.

4. საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩართვა და პოლონეთის მაგალითების შესწავლა, რომელმაც უკვე წარმატებას მიაღწია ამ სფეროში, ასევე არსებული გამოცდილების გათვალისწინება და ცოდნის მიღება დაეხმარება საქართველოს, გადადგას შემდგომი ნაბიჯები პრობლემის გადასაწყვეტად და შეამციროს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ოდენობა ქვეყანაში.

რეკომენდაციები რეინტეგრაციის შესახებ

რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ:

პირველ რიგში, უნდა შეიმუშავოს კომპლექსური პრე-ვენციული პროგრამა, რომელიც მოიცავს დასაქმებისა და პროფესიული მომზადების საკითხებს.

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმაში შეიტანოს რეინტეგრაციის პროგრამები და ლონისძიებები; უზრუნველყოს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა.
- რისკ-ჯგუფებზე მიმართულ ინიციატივებში ჩართოს ტრეფიკინგის მსხვერპლი (დასაქმების პროგრამების, სოციალური დახმარება, გადამზადება, ფინანსური დახმარება და ა.შ.).
- გამორჩეული ყურადღება დაუთმოს ბავშვთა რეინტეგრაციის პროგრამებს. რეინტეგრაცია გაგებულ უნდა იქნეს როგორც ოჯახური რეინტეგრაცია ბავშვის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით და არა ინსტიტუციონალიზაცია.

რა უნდა გააკეთონ საქართველოს მთავრობამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა: შეაფასონ არსებული რეინტეგრაციის პროგრამები ეფექტურობის თვალსაზრისით, გამოიკვლიონ ტრეფიკინგის მსხვერპლ (დაბრუნებულ) ქალთა სჭიროებები და მოლოდინები სოციალურ ცხოვრებაში რეინტეგრაციის კუთხით, მხარი დაუჭირონ არასამთავრობო ორგანიზაციებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეინტეგრაციისა და დახმარების ინვაციური პროგრამების განხორ-

ციელებაში, უზრუნველყონ დახმარებისა და რეინტეგრაციის პროგრამების რეგულარული მონიტორინგი და შეფასება (საშუალოვადიანი და საბოლოო), განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რეინტეგრაციის გრძელვადიან შედეგებს, გადაამოწმონ, რომ რეინტეგრაციის პროგრამებში ჩართული ტრეფიკინგის მსხვერპლთა პერსონალური მონაცემები და საიდენტიფიკაციო ინფორმაცია არ არის დარეგისტრირებული ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანოებში, მიაღწიონ შეთანხმებას სხვადასხვა ქვეყანასთან მიგრანტების ინტერესებისა და ადამიანთა უფლებების დასაცავად. მისცენ შესაძლებლობა მიგრანტებს, ისარგებლონ სოციალური დაცვის პროგრამებით.

საერთაშორისო ორგანიზაცია La Strada Association არის ადამიანთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული ცხრა დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციის ქსელი ბელორუსიაში, ბოსნიასა და ჰერცოვინაში, ბულგარეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, მაკედონიაში, მოლდოვაში, ნიდერლანდებში, პოლონეთსა და უკრაინაში. ქსელი მიზნად ისახავს ტრეფიკინგის პრევენციას. მისი აქტივობა განსაკუთრებით მიმართულია ქალთა პრობლემებზე ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში. აღნიშნული ქსელის უშუალო მიზანია ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი უნივერსალური უფლებების დაცვა. აქ შედის იმის უფლებაც, რომ ქალს შეეძლოს გავიდეს ქვეყნიდან სამუშაოდ და დაცული იყოს ძალადობისაგან. მიზანშეწონილია შეიქმნას მსგავსი ცენტრები თურქეთში, საბერძნეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და რუსეთში. აქ შექმნილი ანონიმური ცენტრები იმუშავებენ ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთან და არალეგალურ იმიგრანტებთან (სხვადასხვა ქვეყანას შორის საერთაშორისო შეთანხმებების

საფუძველზე). ბევრი საკითხია გადასაჭრელი ტრეფიკინგის მსხვერპლთა სწრაფად სამშობლოში დაბრუნებული ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის ხანგრძლივი დახმარება და რეინტეგრაციის პროგრამებში მონაწილეობა ერთადერთი შანსია საიმისოდ, რომ სოციუმში ჩაერთოს და დაიწყოს ახალი ცხოვრება. ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად შემოთავაზებული დახმარებისა, მსხვერპლს არ შეუძლია დაიწყოს ახალი ცხოვრება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. მიზეზი ამისა შეიძლება იყოს შერყეული ფსიქიკური ან/და ფიზიკური ჯანმრთელობა, ნარკოტიკებისა ან ალკოჰოლოს მოხმარება, შიდსი/აივ ინფექცია, არჩევანის სიმწირე, სტიგმა, დასაქმების შეუძლებლობა, მცირე ანაზღაურება, ოჯახის მხრიდან მხარდაჭერის არქონა, სოციალური გარიყულობა. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის დაბრუნება და რეინტეგრაცია ჩანს როგორც თითქმის ერთადერთი არჩევანი. იშვიათად ჩნდება კითხვა, შეუძლიათ თუ არა მსხვერპლთა წარმომავალ ქვეყნებს, უკან დაბრუნებულებს შესთავაზონ სათანადო სოციალური ჩართულობა. არარეალურია გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ მსხვერპლთა წარმომავლობის ქვეყნებმა სიღარიბის, უმუშევრობის, სუსტი სოციალური დახმარების სტრუქტურების ფონზე შექმნან უკან დაბრუნებულ მსხვერპლთათვის ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობის მიმცემი პროგრამები.

ბავშვთა ტრეფიკინგი

ადამიანებით, მათ შორის ბავშვებით ვაჭრობა უხსოვარი დროიდან, კერძოდ მონათმფლობელობის ეპოქიდან დაიწყო, როცა ადამიანებს, როგორც ნივთებს, ისე ეპყრობოდნენ. ის-ტორიამ მრავალი მაგალითი იცის იმისა, როცა ბავშვებით ვაჭრობა სახელმწიფო დონეზე იყო დაკანონებული. რომის იმპერიის ძლიერების ხანაში მამას უფლება ჰქონდა საკუთარი შვილი მონად გაეყიდა, გაყიდულ ბავშვებს პროსტიტუციასა და მათხვრობას აიძულებდნენ. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ფაბრიკებში ღარიბი, ობოლი ბავშვების თითქმის უფასო შრომას იყენებდნენ, რომლებიც დაზგებთან ყოველ-დღიურად 16 საათს ატარებდენ, ხოლო რომ არ გაქცეულიყვნენ, კედელზე ჯაჭვით აბამდნენ. XXI საუკუნეში ადამიანის, მით უმეტეს, ბავშვის მიმართ ასეთი დამოკიდებულება არათუ დაუშვებელი, არამედ წარმოუდგენელიც კია, მაგრამ ფაქტია, რომ ბავშვთა ტრეფიკინგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმნვავესი პრობლემაა.

საკმარისია ავლნიშნოთ, რომ ჩვენს დროში „აპოკალიფ-სის ოთხ მხედარში“ მოიაზრება:

ნარკოტიკებით ვაჭრობა;

იარაღით ვაჭრობა;

ბავშვებით ვაჭრობა;

ტერორიზმი.

ამასთან, ბავშვთა ტრეფიკინგი, გავრცელების მასშტაბებით, საშიშროების ხარისხითა და არალეგალური სახსრების ოდენობით, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის

შემდეგ, მესამე ადგილს იკავებს. კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, ტრეფიკინგს ღრმა ფესვები აქვს. საქართველოს ისტორიაში მარად სამარცხვინო ლაქად დარჩება ქართველი ბავშვების მოტაცებისა და უცხო ქვეყნებში გაყიდვის უამრავი ფაქტი, სადაც ვაჟებს მეომარ მამელუქებად, გოგონებს კი ჰარამხანებისათვის ზრდიდნენ და ამ ულიოს საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული არა მარტო „გადამთიელები“, არამედ თვითონ ქართველები. ახალი მონათმფლობელობისათვის თანამედროვე დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა ძველი ტექნოლოგიების მოდერნიზება მოახდინეს მხოლოდ. ხოლო ბავშვებით ვაჭრობის გზით მიღებულმა სუპერშემოსავლებმა კი უსასტიკესი წესები დანერგეს – მსხვერპლი ბოლომდე გამოიყენება, შემდეგ კი მას, უბრალოდ, როგორც უსარგებლო ნივთს, სანაგვეზე აგდებენ. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოდან დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი გაემგზავრა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს დაახლოებით ყოველი მეხუთე მოქალაქე ემიგრაციაში იმყოფება. მიტოვებული სოფლები და სახლები, ბავშვთა თავშესაფრებში მყოფი ბავშვების რაოდენობის ზრდა, „ქუჩის“, ბავშვების რაოდენობის ზრდის პარალელურად, – ასევე ჩვენი დროის რეალობაა. ბავშვთა ტრეფიკინგის პრობლემა, იქნება ეს სახელმწიფოებრივ თუ ადგილობრივ დონეზე, ეფექტურად მხოლოდ მაშინ გადაწყდება, როცა თითოეულ ადამიანს, დიდსა თუ პატარას, ეცოდინება როგორც საკუთარი უფლება-მოვალეობები, ისე ის ტკივილი, შიში და დანაკარგი, რაც ამგვარ დანაშაულს მოაქვს. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ყოველმა მოზრდილმა ადამიანმა გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა ბავშვის სიცოცხლესა და ბედზე.

რა განსხვავებაა ბავშვთა და მოზრდილთა ტრეფიკინგს შორის?

1. ბავშვები ხშირად უფრო მოწყვლადნი არიან ტრეფიკინგის მიმართ, ვიდრე მოზრდილი ადამიანები.
2. ზრდასრული ადამიანების ტრეფიკინგი (და მოზარდთა ტრეფიკინგი 15-17 წლის ასაკობრივი ჯგუფი) ნებაყოფლობითი მიგრაციით იწყება. ხოლო ბავშვები, ჩვეულებრივ, საკუთარი სურვილით არ მიგრირებენ;
3. მოზრდილებს შეუძლიათ თანხმობა განაცხადონ სიტუაციაზე, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ როგორც “ექსპლუატაცია”. ეს შეუძლებელია ბავშვების შემთხვევაში. ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გადაბირება და ტრანსპორტირება ყოველთვის უნდა განვიხილოთ, როგორც “ადამიანთა ტრეფიკინგი”.

როგორ ხორციელდება ბავშვთა ტრეფიკინგი?

ქვეყნის შიგნით (ძირითადად სოფლებიდან დიდ ქალაქებში) ბავშვთა ტრეფიკინგის მსხვერპლნი ძირითადად ოჯახის მხრიდან ყურადღებას, მზრუნველობას მოკლებული ბავშვები არიან, რომლებიც პრობლემებით დატვირთული ოჯახებიდან “ბედის საძებრად” ქალაქში მიდიან და ტრეფიკიორთა ხელში ხვდებიან. არის შემთხვევები, როცა მშობელი თვითონ ჰყიდის ბავშვს. ქვეყნის გარეთ ტრეფიკინგისას კი ხშირად ბავშვები ყალბი დოკუმენტებით

გაჰყავთ. არასრულწლოვანს პასპორტში ასაკს უმატებენ, ან სხვის პასპორტში შვილად წერენ. როგორც ავლნიშნეთ, ტრეფიკინგის რისკ-ჯგუფს, პირველ რიგში, ოჯახურ მზ-რუნველობას მოკლებული ბავშვები შეადგენენ. მათ არავინ აკონტროლებთ და ბევრი მათგანი უკვე ჩართულია სექ-სუალური ექსპლუატაციის რომელიმე ფორმაში. თუმცა, რისკის ზონაში ნორმალური ოჯახების ბავშვებიც შედიან, რომლებიც, როგორც წესი, კონკრეტული შეთავაზებით ტყუვდებიან, მაგალითად, ასეთია სამოდელო ბიზნესში მუშაობის შეთავაზება. ამ სფეროში კონტრაქტების რაოდენობა მოდელების რაოდენობასთან შედარებით მიზერულია. ქვეყნიდან გასვლის, ადგილის დამკვიდრების, ტოპ-მოდელად ქცევის სურვილი ხშირად ელემენტარულ უსაფრთხოებას ავიწყებს არა მარტო ბავშვებს, არამედ მათ მშობლებსაც. მათ თავში აღარ მოსდით გაიგონ სააგენტოს შესახებ უფრო ზუსტი და კონკრეტული მონაცემები, ვისგან არის მოწვევა, რისთვის იწვევენ. არადა, ყოველ საკონსულოში იმყოფება პოლიციის წარმომადგენელი ან ადამიანი, რომელსაც შეუძლია დაუკავშირდეს ორგანიზაციებს თავის ქვეყანაში და საჭირო ინფორმაცია მიიღოს. დღეს მსოფლიოში არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ტრეფიკინგი შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები ინფორმირებულები უნდა იყვნენ იმის შესახებ, თუ რა არის ტრეფიკინგი და როგორ უნდა დაიცვან მისგან თავი. გარდა ამისა, აუცილებელია სხვადასხვა სიტუაციებში უსაფრთხო ქცევის უნარ-ჩვევების ათვისება.

ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია

ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას იძულებით შრომაში, დანაშაულებრივ ქმედებებში ან პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით.

ბავშვს აიძულებენ იშრომოს (მაღაროებში, მშენებლობებზე, ბაზრობებზე, ქარხნებში, პლანტაციებში და სხვა), იმუშაოს მომვლელად, დამლაგებლად, იმათხოვროს, ჩაებას ნარკოტიკების წარმოება-გასაღებაში, პროსტიტუციაში და სხვა.

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას იძულებით სექსუალურ ურთიერთობებში ჩაბმის მიზნით, რისთვისაც ბავშვს ან სხვა პირებს გასამრჯელოს უხდიან.

სექსუალური ექსპლუატაციის დროს ხდება ბავშვის დამცირება, გარყვნა, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე ექმნება.

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის განვითარების ძირითადი მიზეზებია:

სექსუალურ მომსახურეობათა მოხმარების გაზრდა;

გართობის ინდუსტრიის ჩამოყალიბება;

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები;

გენდერული უთანასწორობის პრობლემები.

ბავშვთა ტრეფიკინგის შედეგები

**ადამიანებით მოვაჭრეთა ქმედებები, რომლებიც
ტრავმულ რეაქციებს იწვევენ:**

- ძალადობა;
- მკვლელობა;
- თავდასხმა;
- მოტაცება;
- იზოლაცია;
- აკრძალვა;
- ტრადიციული რიტუალების ჩატარება;
- ადამიანის უფლებათა ჩამორთმევა;
- მასოპრივი მკვლელობები;
- სისასტიკე;
- არჩევანის შეუძლებლობა.

ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების ჯანმრთელობის ზოგადი პრობლემები

ტრეფიკინგის მსხვერპლთ ხშირად ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები აღენიშნებათ, რომლებიც გამოწვეულია ცხოვრების არაადამიანური პირობებით, სანიტარული პირობების დაბალი დონით, არასრულფასოვანი კვებით, პირადი ჰიგიენის

დაუცველობით, მოვაჭრეთა მხრიდან სასტიკი ფიზიკური და ემოციური ზემოქმედებით, შრომის სახიფათო პირობებით, სამედიცინო მომსახურების დეფიციტით. ამ პირებისათვის პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურება პრაქტიკულად არ არსებობს. როგორც წესი, ადრეულ სტადიაზე ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება არ ხდება. პირიქით, ეს პრობლემები მწვავდება, იქმნება კრიტიკული მდგომარეობები, რომლებიც შეიძლება სიცოცხლისათვის სახიფათო იყოს. ხშირ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების აღმოჩენა არაკვალიფიციური პირის მიერ ხდება, რომელსაც მოვაჭრე ქირაობს და რომელიც ნაკლებად ზრუნავს, თუ საერთოდ ზრუნავს მისი „პაციენტების“ კეთილდღეობაზე, და კიდევ უფრო ნაკლებად – დაავადებებთან ან ინფექციებთან ბრძოლაზე.

ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები:

- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, შიდსი;
- ფეხმძიმობა;
- უნაყოფობა;
- ზურგის, სმენის, გულ-სისხლძარღვთა ან სასუნთქი სისტემების ქრონიკული პრობლემები;
- სუსტი მხედველობა და თვალის სხვა დაავადებები;
- სერიოზული სტომატოლოგიური პრობლემები;
- კვებითი დარღვევები;
- ტუბერკულოზი;
- გამოუვლენელი დაავადებები, როგორიცაა დიაბეტი ან კიბო;
- სისხლჩაქცევები, იარები და ფიზიკური ძალადობის, წამების სხვა კვალი.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები:

- დანაშაულის გრძნობა;
- აგრესიულობა;
- იძულებით ან საკუთარი ნებით ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები;
 - დეპრესია;
 - ორიენტაციის დარღვევა;
 - ცნობიერების ბუნდოვანება;
 - ფობიები (შიშები);
 - პანიკის რეაქცია;
 - დაუცველობის, სირცხვილის, დამცირების, შოკის, განკიცხულობის, უიმედობის განცდები;
 - გარემომცველთა მიმართ უნდობლობა;
 - უმწეობა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის არარსებობა.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა განცდებმა შეიძლება გამოიწვიოს ოჯახის, მეგობრების, რელიგიური და კულტურული სისტემებისადმი ბაზისური მიჯაჭვულობების დარღვევა, აგრეთვე ადამიანის არსებობასთან და სირცხვილთან დაკავშირებული მთავარი ლირებულებების მსხვრევა. ამასთან ერთად, ტრეფიკინგის მსხვერპლთ ხშირად პოსტტრავმული სტრესით გამოწვეული დარღვევები აღენიშნებათ, რომლებიც სასტიკი მოპყრობის, წამებისა და გაუპატიურების შედეგად ჩნდება. მსხვერპლის დამოკიდებულება გარემომცველებისადმი, მთლიანად საზოგადოებისადმი და ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი შეიძლება კარდინალუ-

რად შეიცვალოს, რაც იწვევს ყველას მიმართ უნდობლობის გრძნობისა და ახალ ურთიერთობებში შესვლის შიშის გაჩენას. მსხვერპლი შეიძლება ძლიერ სინაზულს განიცდიდეს, იმყოფებოდეს დეპრესიაში, რომლის დამოუკიდებლად დაძლევა მისთვის შეუძლებელია. ტრავმატიზაციის მასშტაბები დამოკიდებულია გარემომცველ ადამიანებზე, დაწყებული ხელისუფლების წარმომადგენლებით, იმ პირებით, ვინც მათ დახმარებას უწევს, და დამთავრებული ნათესავებით, ოჯახის წევრებით.

გახსოვდეთ:

ადამიანებით ვაჭრობა დანაშაულია და ამ დანაშაულის მსხვერპლს კანონი იცავს.

ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების დახმარება

ჩარევისა და დახმარების სტრატეგიები დამყარებული უნდა იყოს მსხვერპლთა ფსიქოლოგიურად მძიმე გამოცდილების გათვალისწინებაზე და ფოკუსირებული უნდა იყოს მათი სრული გამოჯანსაღების ხელშეწყობასა და ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნებაზე.

ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია

ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ძირითადი კომპონენტებია:

- უსაფრთხოების გრძნობის აღდგენა. სანამ უსაფრთხოების გრძნობა არ აღდგება, სერიოზული შედეგების მიღწ-

ევა შეუძლებელი იქნება;

- კონტროლის გაძლიერება. მოვაჭრეები ცდილობენ მსხვერპლს საკუთარ თავზე კონტროლი დააკარგვინონ; წარმატების მისაღწევად გამოყენებული სტრატეგიები მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლს მიეცეს საკუთარი მდგომარეობისა და გამოჯანმრთელების პროცესის მაქსიმალური კონტროლის საშუალება;
- სხვა პირების მიმართ მიჯაჭვულობებისა და მათთან კავშირების აღდგენა. იმ ადამიანთა ქცევებსა და დამოკიდებულებაში, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლს ეხმარებიან, უნდა ვლინდებოდეს ზრუნვა, სიკეთე და ჭეშმარიტი მხარდაჭერის სურვილი, რათა ტრავმირებულ ადამიანში აღდგეს სხვების მიმართ ნდობა და იმის ხელახალი განცდა, რომ მის გარშემო არიან ადამიანები, რომელთათვისაც მისი ბედი სულერთი არაა.
- ცხოვრების აზრისა და მიზანსწრაფულობის, აგრეთვე პირადი ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის აღდგენა.

ბავშვებით ვაჭრობის პრევენცია

პრევენციული ღონისძიებები რამდენიმე მიმართულებით უნდა გატარდეს და ორიენტირებული უნდა იყოს განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზე, მათი კრიტიკული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. აუცილებელია რისკ-ჯგუფებში დაცვითი მექანიზმების გაძლიერება. დღეს მსოფლიოში არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ტრეფიკინგი შეუძლებელი იქნებოდა. ადამიანები, რომლებიც მიგრირებენ ერთი სახელმ-

წიფოს შიგნით ან სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ხშირად არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდებიან იმის გამო, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია ადამიანებით ვაჭრობის რეალური სურათის შესახებ. ისინი იძულებულნი არიან, დახმარებისათვის მიმართონ მესამე პირს. ეს „მესამე პირები“ ხშირად ადამიანებით მოვაჭრენი არიან. ამიტომ ტრეფიკინგის პრევენციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარებას. ეს საჭიროა იმი-სათვის, რომ ყველამ, დიდმა და პატარამ, გააცნობიეროს ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის საფრთხე. ბავშვებს უნდა განვუმარტოთ ამ დანაშაულის სიმძიმე და მისი შედეგები, ვასწავლოთ შეთავაზებული წინადადების რეალისტურად შეფასება, აგრეთვე ის, თუ ვის უნდა მიმართონ დახმარები-სათვის, თუ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

სოციალური სამსახურების, მედიის, ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების როლი

- მშობლებსა და შვილებს შორის კონტაქტების მოწეს-რიგებაზე ზრუნვა;
- მუშაობის წარმოება სკოლებში, აგრეთვე უშუალო კავშირების დამყარება ოჯახებთან;
- მხარდაჭერა შემოსავლიანი სამუშაოს პოვნაში, ეკონომიკური მხარდაჭერა;
- მედიაში ტრეფიკინგის პრობლემის გაშუქება პრო-ფესიონალურ დონეზე. ის უნდა მოიცავდეს ამ მოვლენის არსის მკაფიო განმარტებას, ტრეფიკინგის ფორმებსა და იმ მეთოდებს, რომლებსაც ტრეფიკიორები იყენებენ, საფრთხე-ს, რომელიც მსხვერპლს ემუქრება. მასალა არ უნდა იყოს

აგებული სენსაციებზე, კონკრეტული შემთხვევის ანალიზ-ისას დაცული უნდა იყოს მსხვერპლის მიმართ უურნალის-ტური და ადამიანური ეთიკის ნორმები;

- რისკ-ჯგუფის წევრთა (ბავშვებიც და მოზრდილებიც) ცნობიერების ამაღლება ტრეფიკინგის ამოცნობისა და მის-გან დაცვის ხერხების სწავლების გზით.

აღმზრდელების როლი

ტრეფიკინგის საფრთხისაგან ბავშვთა დასაცავად განსა-კუთრებული როლის შესრულება შეუძლიათ ინსტიტუციურ დაწესებულებათა აღმზრდელებს. ეს იმიტომ, რომ სწორედ ეკონომიურ სიდუხჭირეში მყოფი, ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული მათი აღსაზრდელები იმყოფებიან მონათმ-ფლობელთა მარწუხებში მოხვედრის განსაკუთრებით დიდი საფრთხის ქვეშ, ანუ ისინი ტრეფიკინგის მსხვერპლთა რისკ-ჯგუფს შეადგენენ. აღმზრდელებს რეალურად შეუძლიათ თავიანთი აღსაზრდელებისათვის ტრეფიკინგის საფრთხის არიდება, თუკი საკმარისად იქნებიან ინფორმირებულე-ბი იმის შესახებ, თუ სად შეიძლება იყოს „თანამედროვე მონათმფლობელობის“ საფრთხე, როგორია ტრეფიკინგის შედეგები და როგორ შეიძლება მისი არიდება.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო კომპანია


ადამიანები, რომლებიც მიგრირებენ ერთი სახელმწი-ფოს შიგნით ან სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ხშირად არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდებიან იმის გამო, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია ადამიანებით ვაჭრობის რე-

ალური სურათის შესახებ. ისინი იძულებულნი არიან, დახმარებისათვის მიმართონ მესამე პირს. ეს “მესამე პირები” ხშირად ადამიანებით მოვაჭრენი არიან. საინფორმაციო-საგანმანათლებლო კომპანიის წარმოება საჭიროა იმისათვის, რომ ყველამ, დიდმა და პატარამ, გააცნობიეროს ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის საფრთხე. ბავშვებს უნდა განვუმარტოთ ამ დანაშაულის სიმძიმე და მისი შედეგები, ვასწავლოთ შეთავაზებული წინადადების რეალისტურად შეფასება, აგრეთვე ის, თუ ვის უნდა მიმართონ დახმარებისათვის, თუ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ერთობლივად ჩვენ ისეთ სამყაროს ავაშენებთ, რომელშიც ყველა გოგონა და ყველა ბიჭი შეძლებს ბავშვობით – თამაშისა და სწავლის ხანით ტკბობას; რომელშიც ისინი ეყვარებათ, პატივს სცემენ, მათ უფლებებს დაიცავენ, მათი უსაფრთხოება და კეთილდღეობა პირველ ადგილზე იქნება და რომელშიც მათ შეეძლებათ მშვიდობიანად და ლირსეულად იცხოვრონ.


ცოტა რამ მიგრაციის შესახებ:

განვითარებული, განვითარებადი და სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები პროცესებში ერთნაირად აღ-მოჩნდნენ ჩართულნი, თუმცა განვითარებადი ქვეყნები უმთავრესად სწორედ მიგრანტთა გამცემ ქვეყნებად მოი-აზრება, საიდანაც ადამიანები უკეთესი საცხოვრებელი პი-რობების შექმნის მიზნით მიემგზავრებიან. ნებაყოფლობი-თი მიგრაცია მზარდი ტემპით მიმდინარეობს, რასაც ხელს უწყობს ტექნოლოგიების განვითარება, ტრანსპორტის ხე-ლმისაწვდომობის ზრდა და მგზავრობის გაიაფება, ინფორ-მაციის ხელმისაწვდომობა, რაც უფრო მკაფიო კონტურს სძენს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, შრომის ბაზ-რის გამრავალფეროვნება, სადაც გაჩნდა მოთხოვნა სხ-ვადასხვა კვალიფიკაციისა და სქესის ადამიანებზე, სულ უფრო დიდი დისონანსი მსოფლიოს ქვეყნების განვითარე-ბის დონეებს შორის. დამიანს აქვს უფლება, თავად აირჩიოს საცხოვრებელი, თუმცა სინამდვილე ყოველთვის არ იძლ-ევა ამის საშუალებას; მიღიონობით ადამიანი იძულებულია, დატოვოს სამშობლო და თავი უცხო ქვეყანას შეაფაროს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იძულებით მიგრაციასთან, რომლის მიზეზი, ფორმა და ხანგრძლივობა სხვადასხვაა, შედეგიც - მწვავე და მრავალფეროვანი. ვემოთ სწორედ იძულებით მიგრაციაზე, მის მასშტაბებსა და ხასიათზე ვი-საუბრებთ. თავდაპირველად, ამ პროცესის აქტუალობა რომ გავაცნობიეროთ, რამდენიმე ფაქტს მოვიყვანთ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მონაცე-მების მიხედვით, დღეს მსოფლიოში იძულებით გადასახლე-

ბულია 44 მლნ კაცი, რომელთაგან 15,4 მლნ ლტოლვილია (რომლებმაც საზღვრები გადაკვეთეს), ხოლო 27,5 მლნ - იძულებით ადგილნაცვალი პირი (ისინი, ვინც ქვეყნის ფარგლებში გადასახლდნენ); ამათ გარდა, 800 ათასი თავშესაფრის მაძიებელია, რომლებიც ცდილობენ, მიმღებ ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება მოიპოვონ და სამართლებრივად ლტოლვილის სტატუსი მიიღონ. ამ „მოკრძალებული“ სტატისტიკის მიღმა რჩება 12 მლნ მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელთაც არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ აქვთ. ამ უკანასკნელ ჯგუფზე ინფორმაცია ძნელი მოსაძიებელია, თუმცა უნდა ითქვას, რომ თუ 2004 წელს მხოლოდ 30 ქვეყანა იძლეოდა მათ შესახებ ინფორმაციას, დღეს ამ ქვეყნების რიცხვი 65-მდე გაიზარდა. იძულებით გადაადგილებულ პირებს ძირითადად მეზობელი სახელმწიფოები იფარებენ ლტოლვილთა ბანაკებში.



ლტოლვილთა მიმწოდებელი ქვეყნების კარტოგრამა



ლტოლვილთა მიმღები ქვეყნების კარტოგრამა

კარტოგრამების შედარებითი ანალიზისთვის საჭიროა, წინასწარ წარმოვიდგინოთ, როგორ უნდა იყოს სტრუქტურირებული პასუხი. თავდაპირველად დავფიქრდეთ, როგორი უნდა იყოს იგი, რა ლოგიკურ თანამიმდევრობას უნდა მივყვეთ, რათა პასუხი სწორი, ამომწურავი და გასაგები აღმოჩნდეს. სტრუქტურაში მოსაქცევად აუცილებელია, პასუხი დავიწყოთ სათაურის პერიფრაზირებით. პირველ წინადადებად სწორედ მისი დაწერა იქნება უპრიანი.

ამის შემდეგ აღვწერთ თითოეულ კარტოგრამას. აღწერა რამდენიმე წინადადებისგან უნდა შედგებოდეს და მოიცავდეს ყველა მოცემულ შინაარსობრივ კომპონენტს. ჩამოთვლილი უნდა იყოს ქვეყნები მსხვილი რეგიონების მიხედვით, რომლებიც განსაკუთრებით დიდი და მცირე მაჩვენებლებით გამოირჩევა. მომდევნო, უფრო ვრცელი ნაწილი ანალიტიკური უნდა იყოს. მასში ხაზი უნდა გაესვას აღწერილობით ნაწილში გამოყოფილ ქვეყნებში

პოლიტიკურ სტაბილურობა-არასტაბილურობას, ეკონო-
მიკურ მდგომარეობას, სოციალურ ფაქტორებს, ბუნებრივ-
კატასტროფულ მოწყვლადობას, დემოგრაფიულ სურათს.
დაბოლოს, დასკვნითი ნაწილით უნდა შეიკრას ტექსტი, სა-
დაც აიხსნება მიგრაციის მიმართულებები. ლტოლვილთა
გამცემ 10 ქვეყანა-“ლიდერს” შორის არიან ავღანეთი, ერ-
აყი, სომალი, სუდანი, კონგოს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკა, კოლუმბია, ვიეტნამი, მიანმა, ბურუნდი, პალესტინა.
ლტოლვილთა მიმღებ ქვეყნებს შორის - პაკისტანი, სირია,
ირანი, გერმანია, ოორდანია, აშშ, კენია, ჩადი, ჩინეთი და
ტანზანია. სტატუსგარეშე პირების რაოდენობის მიხედვით
გამოიჩინება ერაყი ქურთების ეთნიკური ჯგუფით, კენია -
ნუბიელებით, ესტონეთი და ლატვია - რუსებით, ნეპალი -
ბუტანელებით. ყველა ამ ჯგუფის 50% 18 წლამდე ასაკისაა,
ხოლო 11% - 5 წლამდე ასაკისაა, რაც კიდევ უფრო ამძა-
ფრებს პრობლემას. პრობლემისთვის ხაზის გასასმელად
20 ივნისს ლტოლვილთა მსოფლიო დღე აღინიშნება. 1951
წელს შემუშავებულ იქნა ლტოლვილთა სტატუსის განმსაზ-
ღვრელი კონვენცია, რომელიც 147 ქვეყნის მიერაა რატი-
ფიცირებული. ქვეყნები, საიდანაც დიდია იძულებითი გად-
ინება, მათ შორის - ირანი, პაკისტანი და სირია, აღნიშნულ
კონვენციას არ უერთდებიან.

იძულებითი მიგრაციის მიზეზები

იძულებითი მიგრაციის მიზეზები მრავალფეროვანია.
მათგან აღსანიშნავია ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენ-
ები, ანთროპოგენული ხასიათის კატასტროფები, ომი, კონ-
ფლიქტები, შიმშილობა, ეკონომიკური განვითარება.

1. კონფლიქტით გამოწვეული გადაადგილება

ამ დროს ადამიანები იძულებით ტოვებენ საკუთარ სახლებს, სადაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათ დაცვას. მიზეზებს შორისაა შეიარაღებული კონფლიქტი, მათ შორის - სამოქალაქო ომი, ძალადობა, ეროვნების, რასის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე დევნა.

ამ გადაადგილებული პირების დიდი ნაწილი თავშესაფრის ძიებაში საერთაშორისო საზღვრებს კვეთს. მათი ნაწილი თავშესაფარს საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით ექმნს და ლტოლვილის სტატუსს იღებს, ნაწილი გამოსახლების შიშით სტატუსგარეშე დარჩენას ამჯობინებს.

ფართომასშტაბიანი ომების რაოდენობა მცირდება, თუმცა მათ ადგილს იკავებს შეიარაღებული სეპარატისტული კონფლიქტები, რომლებიც უკვე შიდა შუღლსა და დაპირისპირებას იწვევს. ეს ბევრს გადასახლებისკენ უბიძგებს. დრამატულად იზრდება იძულებით ადგილნაცვალ პირთა რაოდენობა, რომელთა რიცხვი ლტოლვილებისას აღემატება.

2. განვითარებით გამოწვეული გადაადგილება

ამ გადაადგილებაში ჩართული არიან ადამიანები, რომლებიც იძულებულნი არიან, დატოვონ თავიანთი საცხოვრებელი მსხვილი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პროექტების გამო. ასეთი გადაადგილებები ხშირად სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენს და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება. მაგალითად, გზების, პორტების, აეროპორტების, ეროვნული პარკების, კაშხლების მშენებლობა. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად დაზარალებული ადამიანები, როგორც წესი, ქვეყანაში რჩებიან და სახელმწიფოსგან კომპენსაციასაც იღე-


ბენ, თუმცა ამ ანაზღაურებას ისინი უმეტესად არაადეკვატურად მიიჩნევენ. ასეთი გადაადგილებები საერთაშორისო საზოგადოების ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს ხალხი ზარალდება და მათი უფლებებიც ირღვევა. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას 100 მილიონი კაცის საცხოვრებელი ადგილიდან აყრა მოჰყვა; ყოველწლიურად 10 მლნ-მდე ადამიანი კაშხლების მშენებლობის გამო ტოვებს თავის საცხოვრისს.

3. კატასტროფებით გამოწვეული გადაადგილებები

ეს კატეგორია მოიცავს ბუნებრივი კატასტროფების (წყალდიდობა, ვულკანი, მეწყერი, მიწისძვრა...), გარემოს ცვლილების (გაუტყეურება, გაუდაბნოება, მიწის დეგრადაცია, გლობალური დათბობა....) და ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეული კატასტროფების (სამრეწველო ავარიების) გამო იძულებით გადაადგილებულებს. ცხადია, ამ შემთხვევაში მკაფიო საზღვრების დადგენა რთულდება, რადგან ხშირად ერთი მათგანი მეორეს იწვევს. ამის მაგალითია იაპონიის მიწისძვრა, რომელსაც ცუნამი მოჰყვა, რამაც, თავის მხრივ, ფუკუშიმას სადგურში ბირთვული ავარია გამოიწვია.

ამ შემთხვევაში მიზეზის შეფასება უფრო რთული სადაცოა, ვიდრე მიგრაციის წინა ორი ფორმის დროს. ამ ტიპის მიგრაციაში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანია ჩართული. რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, აგრეთვე არასამთავრობო (საერთაშორისო თუ ადგილობრივი) ორგანიზაციები დაზარალებულებს დახმარებას უწევენ. ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზარალებულებს ხშირად ეკომიგრანტებად მოიხსენიებენ.

ადამიანებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი ექსპლოატაციის დაფიქსირებული ფორმები



ტრეფიკინგიც უკანონო მიგრაციის სახეობაა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) — არის დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ანდა მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმის (მოტაცება, შანტაჟი, თაღლითობა, მოტყუება, უმწეო მდგომარეობაში ჩაყენება, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება)


გამოყენებით, რომლის დროსაც ხდება ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, საკუთარ ან სხვა ქვეყანაში ტრანსპორტირება, ადამიანით მოვაჭრებისათვის გადაცემა, შეფარება ანდა მიღება მისი ექსპლუატაციის გზით სარგებლის მიღების მიზნით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი).

ტრეთიკინგის მსხვერპლთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა



მიუხედავად იმისა, რომ ეს დასჯადი დანაშაულია, უამრავი ადამიანი ხდება ამ სახის იძულებითი მიგრაციის მსხვერპლი. ადამიანებს უმთავრესად ყიდიან ან ამუშავებენ სექსუალური მომსახურების მისაღებად და მისი მსხვერპლი ქალები და ბავშვები არიან. შესაძლოა, პირმა საკუთარი ქვეყანა ნებით დატოვოს, მაგრამ ვალის, მუქარის, ზენოლის შედეგად, შემდგომში ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდეს. არის შემთხვევები, როცა საზღვრის გადაკვეთაც უკანონოდ, კონტრაბანდისტების დახმარებით ხდება, რომლებიც არა-


ლეგალური გზებით ცდილობენ ბარიერების დაძლევას. ამის გამო ტრეფიკინგის სტატისტიკის წარმოება ძალიან რთულია. საერთაშორისო მიგრაციის ვიზუალური გამოვლინება მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდებში ამოიცნობა საერთაშორისო მიგრაციების მასშტაბები. ქვემოთ მოგვყავს ორი სხვადასხვა ტიპის ქვეყანა, მიმღები და გამცემი.



თუ დავაკვირდებით არაბთა გაერთიანებული საამიროების სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას, ვნახავთ, რომ მას განსხვავებული ფორმა აქვს და მისი გვერდები აშკარად დარღვეული მოხაზულობისაა. განსაკუთრებით თვალში საცემია ეს გამოზნექა კაცების მხარეს. ეს შეიძლება აიხსნას მაღალი იმიგრაციით, განსაკუთრებით - სამუშაო ასაკის მამაკაცებში. რაკი ვიცით, რომ ქვეყანა ნავთობით მდიდარია, შეგვიძლია ავხსნათ, რატომ არის ეს მიგრაციული ნაკადი

სწორედ ამ ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფში. რაც შეეხება შედარებით ნაკლებ გამოზნექას ქალების ნაწილში, ეს იმით აიხსება, რომ ქალთა შრომის ბაზარი არ არის მიმზიდველი ამ ქვეყანაში, არ არის მოთხოვნა მათ შრომაზე და ეს ამოზნექა, ანუ შედარებით მცირე ნამატი, შესაძლოა იყვნენ სამუშაოს მაძიებელი მამაკაცების მეუღლეები, რომლებიც მათთან ერთად ჩამოვიდნენ ქვეყანაში.

შოტლანდიის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა



კონტური, რომელიც აჩვენებს შრომის ასაკის მოსახლეობის შემცირებას, ნიშნავს ამ ასაკობრივი ჯგუფის შემცირებას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სიკვდილიანობით (მაგ., ომით) ან მიგრაციით. ამ შემთხვევაში, როდესაც ცნობილია, რომ შოტლანდიას არ გადაუტანია ომი, სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის ფორმის დარღვევის მიზეზად მიგრაცია რჩება. შოტლანდიიდან შრომისუნარიანი მამაკაცების გადინება მიმდინარეობს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბი მომავალშიც გაიზრდება. ამდენად, ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მიმდინარე

პროცესებზე, მათ მიზეზებსა და შედეგებზე. ამ მონაცემების გამოყენება შეიძლება აისახოს ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში, რაც შედეგებს რამდენადმე შეარბილებს.

მიუხედავად ყველაფრისა, დღეს გაცილებით უკეთ ვართ, ვიდრე გუშინ. რადგან უფრო მეტმა ვიცით, რატომ ვართ ცუდად. იმედია, ხვალ კიდევ უფრო მეტს გვეცოდინება. ეს ეხება „გახიზნულ, გაჩუქებულ, გაყიდულ“ შვილებსაც, რომლებსაც ვერაფრით დავიბრუნებთ, თუკი თავად არ მოუნდებათ დაბრუნება. დაბრუნება არა მარტო კეთილშობილური მიზანი, არამედ მოურეველი სურვილიც უნდა იყოს მათვის...

დანართი:

საქართველოს კანონი

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ
ბრძოლის შესახებ**

**თავი I
ზოგადი დებულებანი**

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებს, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია:

ა) უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა

უფლებების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია;

გ) განსაზღვროს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების თავისებურებები;

დ) განსაზღვროს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისათვის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისათვის სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და იურიდიული პირების თანამშრომლობის პრინციპები.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) — საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 და 1432 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ ენიჭება;

ბ) შანტაჟი — პირის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება მისთვის ან მისი ახლობლებისათვის სახელის გამტეხი ან სხვა საზიანო ცნობების გახმაურების მუქარით;

გ) უმწეო მდგომარეობა — მდგომარეობა, როდესაც პირი სხვა პირზე მატერიალურად ან სხვაგვარად არის

დამოკიდებული, როდესაც პირს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია რეალურად შეაფასოს არსებული ვითარება, როდესაც პირს არ გააჩნია სხვა რეალური საშუალება, გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს მის მიმართ გამოყენებულ ძალადობას;

დ) ექსპლუატაცია — პირის გამოყენება იძულებითი შრომისათვის ან მომსახურებისათვის, მისი დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმა, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, სექსუალური ექსპლუატაცია ან სხვა სახის მომსახურების გაწევის იძულება, აგრეთვე პირის გამოყენება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვისათვის ანდა სხვა მიზნით;

ე) იძულებითი შრომა — ნებისმიერი სამუშაო ან მომსახურება, რომელიც მიიღება პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, მის მიმართ მუქარის, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით;

ვ) სექსუალური ექსპლუატაცია — პირის ჩაბმა პროსტიტუციაში, სხვა სახის სქესობრივ მომსახურებაში ან პორნოგრაფიული მასალის წარმოებაში მის მიმართ მუქარის, ძალადობის, იძულების, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან სამუშაოს ხასიათისა და პირობების შესახებ ყალბი ინფორმაციის მიწოდებით;

ზ) მონობის მსგავსი მდგომარეობა — „მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1956 წლის 7 სექტემბრის დამატებითი კონვენციით განსაზღვრული პირის სტატუსი ან მდგომარეობა;

თ) მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება —

პირისათვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევა, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების, აკრძალვა, კულტურული იზოლაცია, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ან/და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულება;

ი) ადამიანით მოვაჭრე — ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 ან/და 1432 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;

კ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი — პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად;

ლ) წარმოშობის სახელმწიფო — სახელმწიფო, რომლის მოქალაქე ან რომელმი მუდმივად მცხოვრები პირი არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი;

მ) დანიშნულების სახელმწიფო — სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზედაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს უწევენ ექსპლუატაციას;

ნ) ტრანზიტის სახელმწიფო — სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის გავლითაც ხორციელდება ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი);

ო) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) — საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომლის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა სახის მომსახურება მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის მიზნით;

პ) დაზარალებული — პირი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 ან/და 1432 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ცნობილია დაზარალებულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

ჟ) არასრულწლოვანი — პირი, რომლის ასაკი არ აღემატება 18 წელს.

საქართველოს 2012 წლის 10 აპრილის კანონი №6012 — ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 4. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროებში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა განისაზღვრება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფ-

ეროვებში საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა ადამიანის უფლებების დაცვას, მათ დახმარებასა და რეაბილიტაციას, ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

3. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას და მის წინააღმდეგ ბრძოლას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას, ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ამ კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

თავი ॥

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები და სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)
თავიდან აცილების სფეროში

მუხლი 5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები არის იმ ორგანიზაციული, სამართ-

ლებრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკ-ინგის) დანაშაულის შემცირებისაკენ, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ.

2. სახელმწიფოს საქმიანობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში გულისხმობს:

ა) მოკლე- და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება-სა და განხორციელებას ქვეყანაში სილარიბის, ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის, უმუშევრობისა და შესაძლებლობებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის შემცირებისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის;

ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი მიზ-ეზების ანალიზსა და შეფასებას;

გ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმებისა და გავრცელების მასშტაბის კვლევასა და მონაცემთა შეგროვებას ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების შემუშავების მიზნით;

დ) მიგრაციის სრულყოფილ სამართლებრივ რეგუ-ლირებას, ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას;

ე) არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხის შემცირებას საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებით, მათ შორის, შესაბამის სახელმწიფო უწყებებში „ცხელი ხა-ზების“ შექმნით, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის სა-განმანათლებლო პროგრამების შემუშავებით, საქართველოს საპასპორტო-სავიზო სამსახურების, სასაზღვრო-გამშვები

პუნქტებისა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების უზრუნველყოფით საინფორმაციო მასალით საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ლეგალური შრომისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრების შესახებ და სხვა;

ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა (სკოლების) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებში ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხების შეტანას;

ზ) სპეციალური მოსამზადებელი კურსების ან სემინარების ორგანიზებასა და ჩატარებას იმ სახელმწიფო მოხელეთათვის, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებს;

თ) ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ადამიანის ექსპლუატაციის ხელშემწყობი ყველა ფაქტორის წინააღმდეგ.

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6439 — ვებგვერდი, 22.06.2012.

მუხლი 6. სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში

1. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას,

ქმნიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აც-ილებისა და აღკვეთისათვის საჭირო პირობებს, ახორციელებენ ამ დანაშაულის შესაძლო რისკის ჯგუფებისათვის სამართლებრივი, ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღებას, აგრეთვე ატარებენ შესაბამის საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიას.

2. სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და საზოგადოებისათვის მის ხელმისაწვდომობას, სამუშაოს მაძიებელთა შრომითი მოწყობის მიზნით საშუალო საქმიანობის განხორციელებას, უმუშევართა დასაქმებისათვის სათანადო პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობას.

3. ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს ტურისტების და დამსვენებლების დაცვისა და უსაფრთხოების პროგრამას და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა (სკოლების) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებში ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხების შეტანას.

5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობები-

სა და საქართველოს ვიზების გაცემას, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა საქართველოს ფარგლების გარეთ დასაქმების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს უცხო ქვეყნებთან შესაბამისი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებისათვის მოლაპარაკებების გამართვას, ხოლო საქართველოს ფარგლების გარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა სამართლებრივი დახმარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით — საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ან საკონსულო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პირთა განსაზღვრას.

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკ-ინგის) დანაშაულში მონაწილე პირთა გამოვლენის და მათი საქართველოში შემოსვლისა და საქართველოდან გასვლის აღრიცხვის უზრუნველსაყოფად აკონტროლებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირების გატარებასა და სასაზღვრო-გამშვები პუნქტების საქმიანობას, აგრეთვე თანამშრომლობს უცხო ქვეყნების შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან, შეისწავლის და აანალიზებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და მათი აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

7. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას და ამ მიზნით თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოში საქმიანობის განმახორციელებელ

არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაწესებულებებთან.

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6439 — ვებგვერდი, 22.06.2012წ.

თავი III

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები

მუხლი 7. სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები არის იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდება ამ დანაშაულის გამოვლენისა და გახსნის, დამნაშავეთა დადგენისა და დაკავების, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და მათთვის სასჯელის შეფარდების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე რომლებიც აუცილებელია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვისა და დახმარებისათვის.

2. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას, უზრუნველყოფენ ამ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთისათვის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას, დანაშაულში ბრალდებული პირების დადგენას, დაკავებას და მათ მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.

3. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვას, შეიმუშავებენ სავალდებულო სახელმძღვანელო მითითებებს და თავიანთი თანამშრომლებისათვის უზრუნველყოფენ სპეციალური მოსამზადებელი კურსების ან სემინარების ჩატარებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების, მათდამი მოპყრობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეთა წარმოების თავისებურებებზე.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავი-
სი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადამიანით
ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე ოპერატორ-სამძე-
ბრო და საგამოძიებო საქმიანობის განხორციელებას, ადამი-
ანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებ-
ულთა და მოწმეთა პირადი უსაფრთხოების დაცვას, ერთიანი
საინფორმაციო პანკის შექმნას, აგრეთვე ადამიანით ვაჭრო-
ბის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა
შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით
თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან.

5. საქართველოს პროკურატურა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სისხლისამართლებრივ დევნას და სასამართლოში მხარს უჭირს სახელმწიფო ბრალდებას.

ბის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას უწევს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედ ჯგუფს უფლება აქვს, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისაგან, მათ შორის, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებებისაგან, უშუალოდ მიღოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3619-სამი, №51, 29.09.2010წ., მუხ.332

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6439 — ვებგვერდი, 22.06.2012წ.

მუხლი 8. ერთიანი საინფორმაციო ბანკი

1. ადამიანით მოვაჭრეთა იდენტიფიცირებისა და მათ შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად იქმნება ერთიანი საინფორმაციო ბანკი, რომელშიც შეიტანება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან დაკავშირებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების, გამოძიების და სასამართლო განხილვის შედეგად ან/და საერთაშორისო კრიმინალური პოლიციიდან (ინტერპოლიდან) და სხვა შესაბამისი ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაცია.

2. ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის წესს, მასში

შესატანი ინფორმაციის სახეებსა და შინაარსს, აგრეთვე შე-საბამის ინფორმაციასთან დასაშვებ პირთა სიას ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

3. ერთიან საინფორმაციო ბანკში შეტანილი ინფორმა-ცია საიდუმლო ინფორმაციაა და მისი გაცნობა და გაცემა ხდება საიდუმლო ინფორმაციის გაცნობისა და გაცემისათ-ვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შე-საბამისად.

4. ერთიან საინფორმაციო ბანკში არსებული ინფორ-მაციის უნებართვო გამუღავნება ისჯება კანონით.

საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3619-სსმი, №51, 29.09.2010წ., მუხ.332

მუხლი 9. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერ-პლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმ-წიფო ფონდი

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით იქმ-ნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი — ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში — ფონდი).

2. ფონდის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. ფონდს მართავს ფონდის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფ-

ლებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. ფონდის საქმიანობის კოორდინაციის მიზნით იქმნება სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად შედიან შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამავე სფეროს სპეციალისტები და მეცნიერები.

5. ფონდის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ფონდის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

6. ფონდის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემა და მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ორნისძიებების დაფინანსება.

7. ფონდის შემოსავლების წყაროებია:

- სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები;
- საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული სახსრები;
- იურიდიული და ფიზიკური პირების შემოწირულებები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 10. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ორნისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკონრდინაციო საბჭო

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის,

დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროებში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში ხელის შეწყობის, მათი საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით საქართველოს პრეზიდენტი ქმნის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში — საკოორდინაციო საბჭო).

2. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებების ნარმომადგენლებთან ერთად შეიძლება შედიოდნენ შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამენარმეო იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ნარმომადგენლები, ამავე სფეროს სპეციალისტები და მეცნიერები.

3. საკოორდინაციო საბჭოს შექმნის, საკოორდინაციო საბჭოში პირის ნარდგენისა და საკოორდინაციო საბჭოდან მისი გამოყვანის წესს, მის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს (დებულებას) განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა და ბრძანებულებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

თავი IV

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,
დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა, დახმარება
და რეაბილიტაცია**

მუხლი 11. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსი

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის

სტატუსის მინიჭების საკითხს საკორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი პირის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომ-სახურების დაწესებულებისათვის (თავშესაფრისათვის) ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვიდან არა უგვი-ანეს 48 საათისა. მუდმივმოქმედი ჯგუფის შემადგენლობას, საქმიანობის წესს და უფლებამოსილებას განსაზღვრავს სა-კორდინაციო საბჭო.

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში პირს ეძლევა უფლება, მიმართოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერ-პლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს) და ისარგებლოს ამ თავით გათვალისწინებული უფლებებით.

3. დაზარალებულისა და პროცესის სხვა მონაწილისათ-ვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტა-ტუსი არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებებისა და მოვა-ლეობების წარმოშობის საფუძველს.

4. საქართველოს მოქალაქეზე, საქართველოში სტატუ-სის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც სხვა სახელმწიფოში ცნობილ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრე-ფიკინგის) მსხვერპლად, ვრცელდება ამ თავით გათვალ-ისწინებული დებულებები.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 — ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 12. მოსაფიქრებელი ვადა

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს უფლება აქვს ისარგებლოს მოსაფიქრებელი ვადით — არანაკლებ 30 დღისა, რათა მიიღოს გადაწყვეტილება, სურს

თუ არა, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან შესაბამის დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებაში.

2. მოსაფიქრებელი ვადა აითვლება პირის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებისათვის (თავშესაფრისათვის), სამართალდამცავი ორგანოსათვის ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვის დღიდან.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში თავისუფლდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 13. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებანი

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე პროკურორის, დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის შუამდგომლობით, სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება ჩატარდეს დახურული სასამართლო სხდომა.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის სპეციალური ღონისძიებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

4. ადამიანით მოვაჭრე იურიდიული პირის მიმართ გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

5. ადამიანით მოვაჭრეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება ჩამოერთვას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება.

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის დაწყებამდე, სისხლის სამართლის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონით.

მუხლი 14. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

2. სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს დაუყოვნებლივ განუმარტონ მისი უფლება, მიმართოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს).

3. სამართალდამცავი ორგანოები და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) ვალდებული არიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს მიაწოდონ

სრული ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესახებ.

4. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ვალდებულია დაზარალებულს მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლება-მოვალეობების და სამართლებრივი სტატუსის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია გამოძიების და სასამართლო პროცესის მსვლელობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

5. სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფო უზრუნველყოფს დაზარალებულს ადვოკატით, თარჯიმნით, აგრეთვე მისთვის სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მასალების მიწოდებას მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ ენაზე.

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს უფასო იურიდიული დახმარება და სასამართლო წარმომადგენლობა შეიძლება გაუწიოს ამ კანონის შესაბამისად საამისოდ უფლებამოსილმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებამ (თავშესაფარმა) ან სხვა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დაზარალებულსა და მოწმეს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც მათ სამართლებრივ დაცვასა და დახმარებას უწევენ, უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მოითხოვონ თავიანთი და თავიანთი ოჯახის წევრების პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა ვინაობა, მისამართები და სხვა პერსონალური ინფორმაცია საიდუმლო ინფორმაციაა

და მისი გამუღავნება აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9. დაზარალებულის, მოწმის ან მათი კანონიერი წარმომადგენლების თხოვნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის სპეციალური ღონისძიებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 15. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული თავისუფლდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე და 362-ე მუხლებითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1723 და 185-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედებებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან. მას აგრეთვე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობისათვის, თუ იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები ვრცელდება ისეთ სამართალდარღვევებზე, რომლებიც პირის მიერ ჩადენილი იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის სტატუსის მოპოვებამდე.

მუხლი 16. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის უფლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. თუ შეუძლებელია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისათვის, დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მასზე ფონდიდან გაიცემა კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია მოიცავს იმ სამართლებრივი, სოციალური და ორგანიზაციული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფს:

ა) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების სრული დაცვით;

ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დისკრიმინაციის დაუშვებლობას;

გ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკი-

ინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებას;

დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სრულყოფილი რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობას;

ე) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის სრული ინფორმაციის მიწოდებას მათი უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვას, დახმარებას, რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოში საქმიანობის განმახორციელებელ არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაწესებულებებთან, რათა უზრუნველყონ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა და დახმარება, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა პერსონალური მონაცემების სრული გასაიდუმლოება, პირადი უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, უსაფრთხო რეპატრიაცია და სამედიცინო-ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, აგრეთვე დანაშაულის შედეგად მიყენებული ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მექანიზმებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

მუხლი 18. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმები

1. სახელმწიფო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობით უზრუნველყოფს მის მოთავსებას ღირსეული არსებობისათვის შესაფერის, უსაფრთხო საცხოვრებელში — ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში).

2. დაუშვებელია დაზარალებულის მოთავსება დაკავების ადგილებსა და პატიმრობისა და თავისუფლების აღვეთის დაწესებულებებში, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია მისი სხვათაგან განცალკევებით მოთავსება.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს მისი თანხმობით უწევს უფასო სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას, აგრეთვე უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და დახმარებას. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) შეიმუშავებს და ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის მოკლე და გრძელვადიან პროგრამებს.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა თანხმობით უზრუნველყოფს მათ მონანილეობას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად შემუშავე-

ბულ პროფესიული სწავლებისა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების ყველა დაწესებულებამ (თავშესაფარმა) უნდა გაითვალისწინოს მსხვერპლთა ასაკი, სქესი და სპეციალური მოთხოვნები, განსაკუთრებით, ბავშვების სპეციალური მოთხოვნები, შესაბამისი საცხოვრებლით, განათლებითა და მზრუნველობით უზრუნველყოფის თაობაზე.

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ ბავშვთა მიმართ გამოიყენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის 29 ნოემბრის „ბავშვთა უფლებათა“ კონვენციით და „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებათა დაცვის მექანიზმები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ მიღებული სახელმძღვანელო მითითებები.

7. თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის ასაკი არ არის დადგენილი და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი არასრულწლოვანია, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნად ჩაითვლება და მისი ასაკის დადგენამდე მის მიმართ განხორციელდება სპეციალური დაცვის ღონისძიებები.

8. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა პირადი უსაფრთხოების დაცვა და სამედიცინო-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ღონისძიე-

ბები ხორციელდება მათი თანხმობითა და მათი პერსონალური მონაცემების სრული გასაიდუმლოებით.

საქართველოს 2010 წლის 9 მარტის კანონი №2712-სსმი, №12, 24.03.2010წ., მუხ.77

მუხლი 19. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) მოწყობა

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, მათი დახმარების, რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქმნება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი).

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) იქმნება ფონდთან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტრუქტურული ერთეული.

3. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნას კერძო სამართლის არასამენარმეო იურიდიული პირი — ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი).

4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) უზრუნველყ-

ოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისათვის, დაზარალებულისათვის ამ კანონით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, მათ შორის, მისი პირადი უსაფრთხოების დაცვას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) ყოფნის დროს.

მუხლი 20. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ უცხოელთა სტატუსი და მათი რეპატრიაცია

1. უცხოელი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული, სარგებლობს იმავე უფლებებით, რომელიც ამ კანონით გათვალისწინებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისათვის, დაზარალებულისათვის.

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, თავისუფლდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 185-ე მუხლით განსაზღვრული ქმედებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

3. დაუშვებელია მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში საქართველოდან იმ უცხოელის გაძევება, რომლის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული.

4. მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირზე ბინადრობის მოწმობას

გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე. ინფორმაცია, რომლითაც ხდება შუამდგომლობაში მითითებული პირის იდენტიფიცირება, საიდუმლო ინფორმაციაა და მისი გამუღავნება ისჯება კანონით. შესაბამისი სახელმწიფო ორგანო აღნიშნული ინფორმაციის გასაიდუმლოების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

5. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული პირი გადაწყვეტს, სისხლის სამართლის პროცესში შესაბამის დანაშაულზე ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან, მას სისხლის სამართლის პროცესის ან/და სამოქალაქო პროცესის დასრულებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევა ბინადრობის მოწმობა. ამ პერიოდის განმავლობაში მას აგრეთვე უფლება აქვს იმუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე და ისარგებლოს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით დადგენილი შრომითი უფლებებითა და გარანტიებით.

6. მოსაფიქრებელი ვადის გასვლის ან შესაბამისი სისხლის სამართლის პროცესის დასრულების შემდეგ სახელმწიფო იღებს სათანადო ზომებს უცხოელის, რომელიც არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული, უსაფრთხო დაბრუნებისათვის მისი წარმოშობის სახელმწიფოში.

7. შესაბამისი სისხლის სამართლის პროცესის დასრულების შემდეგ უცხოელს, რომელიც არის ადამიანით

ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული, მისი თხოვნის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება მიეცეს თავშესაფარი, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ წარმოშობის სახელმწიფოში დაბრუნების შემთხვევაში მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას საფრთხე დაემუქრება.

მუხლი 21. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა უსაფრთხო რეპატრიაცია

1. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები თანამშრომლობენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან, რათა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლზე, დაზარალებულზე უმოკლეს ვადაში გასცენ პირადობის მოწმობა ან/და საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა და უზრუნველყონ საქართველოში მისი უსაფრთხო დაბრუნების ხელშეწყობა.

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ორგანოები თანამშრომლობენ უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამენარმეო იურიდიულ პირებთან.

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6439 — ვებგვერდი, 22.06.2012წ.

თავი IV¹

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ,
დაზარალებულ არასრულწლოვანთა სოციალური და
სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია

საქართველოს 2012 წლის 10 აპრილის კანონი №6012 —
ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 21¹. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხ-
ვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანთა სოციალური
და სამართლებრივი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტ-
აციის ზოგადი საფუძვლები

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ,
დაზარალებულ არასრულწლოვანზე ვრცელდება ამ კანო-
ნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათ-
ვის, დაზარალებულთათვის დადგენილი სოციალური და
სამართლებრივი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაცი-
ის ღონისძიებები არასრულწლოვანთათვის საქართველოს
კანონმდებლობითა და ამ თავით დადგენილი წესების გათ-
ვალისწინებით.

2. სახელმწიფო ამ კანონით დადგენილი ადამიანით
ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმების
მეშვეობით იღებს სპეციალურ ზომებს ადამიანით ვაჭრობა-
ში (ტრეფიკინგში) არასრულწლოვანთა ჩართვის შესაძლე-
ბლობების შესამცირებლად.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი,
დაზარალებული არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენება ამ
კანონის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული მექანიზმე-
ბი და მითითებები.

4. ამ კანონის მოქმედება, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, ასევე ურცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის მიმართ.

საქართველოს 2012 წლის 10 აპრილის კანონი №6012 — ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 21². ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანთა სამართლებრივი დაცვა

1. სახელმწიფო თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით იღებს ზომებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის ვინაობის, მოქალაქეობის, მშობლების, ოჯახის ადგილსამყოფლის დასადგენად. საჭიროების შემთხვევაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიშნება მეურვე/მზრუნველი.

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის ვინაობა და სხვა პერსონალური მონაცემები საიდუმლოა და მათი გამულავნება აკრძალულია (ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის), გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა საჭიროა მისი მშობლებისა და ოჯახის ადგილსამყოფლის დადგენა და აღნიშნული ინფორმაციის გამულავნება საფრთხეს არ უქმნის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის უსაფრთხოებას.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი,

დაზარალებული არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციით მისი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ასევე მისი დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე. არასრულწლოვანს ინფორმაცია მიეწოდება მისთვის გასაგებ ენაზე, მისი ასაკის გათვალისწინებით.

4. დაუშვებელია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის მოთავსება დაკავების ადგილებსა და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს 2012 წლის 10 აპრილის კანონი №6012 — ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 21³. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმები

1. სახელმწიფო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელს უწყობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის სოციალურ დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას.

2. სახელმწიფო ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის მოთავსებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში). თავშესაფარში, მისი შინაგანაწესით დადგენილი წესით, ასევე შეიძლება მოთავსდეს არასრულწლოვანი, რომლის ერთ-ერთი ან ორივე მშო-

ბელი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლია ან დაზარალებულია.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მოთავსებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის ცხოვრების, დასვენების, დახმარებისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო პირობები განისაზღვრება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) შინაგანაწესით, რომელიც ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის მიერ ასაკის შესაბამისი მინიმალური განათლების მიღების შესაძლებლობას.

საქართველოს 2012 წლის 10 აპრილის კანონი №6012 — ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 21⁴. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანთა სტატუსი და რეპატრიაცია

1. უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანზე ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით გაიცემა ბინადრობის ნებართვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის

არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვანი არ შეიძლება დაბრუნებულ იქნეს უცხო სახელმწიფოში, თუ არსებობს ვარაუდი, რომ დაბრუნების შემთხვევაში მისი უსაფრთხოება არ იქნება უზრუნველყოფილი. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნული პირის განსაკუთრებული საჭიროებები, ფსიქოლოგიური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

3. უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მისი დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით სახელმწიფო დაწესებულებები არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს.

საქართველოს 2012 წლის 10 აპრილის კანონი №6012 — ვებგვერდი, 30.04.2012წ.

თავი V

საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

მუხლი 22. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა უცხო ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

საქართველოს სახელმწიფო ორგანოების თანამშრომ-

ლობა უცხო ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროებში განისაზღვრება „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის, მისი დამატებითი ოქმის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, ალკოჰოლისა და დასჯის შესახებ“, „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის, საქართველოს მიერ შესაბამის სახელმწიფოებთან დადებული სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებების და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

მუხლი 23. თანამშრომლობა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისათვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისათვის ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების, ერთობლივი პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

თავი VI

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 24. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით
გასატარებელი ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა დაფინანსება.

2. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუნიებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნის, საკოორდინაციო საბჭოში პირის წარდგენისა და საკოორდინაციო საბჭოდან მისი გამოყვანის წესი, მისი შემადგენლობა და საქმიანობის წესი (დებულება).

3. საკოორდინაციო საბჭომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში მოამზადოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი.

4. საკოორდინაციო საბჭომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში დაამტკიცოს:

ა) საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის შემადგენლობა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილება;

ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) მოწყობისათვის აუცილებელი სტანდარტები, მოთხოვნები და მისი დებულების ნიმუში;

გ) სამოქმედო ინსტრუქცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დასაცავად (ეროვნული რეფერალური მექანიზმი);

დ) ფონდიდან კომპენსაციის გაცემის წესი.

5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის — ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის შესაბამისი ქონების გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში შეიმუშაოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის წესი და ფორმები.

8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხების შეტანა ზოგადსაგანმანათლე-

ბლო დაწესებულებებისა (სკოლების) და უმაღლესი საგან-მანათლებლო დაწესებულებების პროგრამებში.

9. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში დაამტკიცოს ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის წესი.

10. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს საკონსულო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პირთა განსაზღვრა და სათანადო ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება, მათ შორის, საქართველოს ფარგლებს გარეთ.

11. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს პარლამენტში „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის სარატიფიკაციოდ წარდგენა.

თავი VII დასკვნითი დებულებანი

მუხლი 25. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა მე-13 მუხლის მე-4 პუნქტისა, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და 22-ე მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.

2. ამ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესა-

ბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ.

3. ამ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

4. ამ კანონის 22-ე მუხლი ამოქმედდეს „ტრანსნა-ციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან, მის დამატებით ოქმთან „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ და „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან საქართველოს შეერთების შემდეგ.

თბილისი,

2006 წლის 28 აპრილი.

№2944-ს

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 25 იანვრის 23 განკარგულება „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, თბილისი, საქართველო.
2. Improving Social Intervention Systems of Victims of Trafficking, Headway, 2007.
3. 2007-2008 National Programme for Combating and Preventing Trafficking in Human Beings, Council of Ministers of Poland.
4. Trafficking in Persons, Report 2007, www.state.gov/Beings, Council of Ministers of Poland. 4. Trafficking in Persons, Report 2007, www.state.gov.
5. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ საქართველოს კანონი, 2006 წლის 28 აპრილი. №2944-ს

